თათარყან
დადეშქელიანი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

თათარყან დადეშქელიანი

წიგნი წარმოადგენს თათარყან დადეშქელიანის სტატიების კრებულს. ეს სტატიები მნიშვნელოვანია ქართული ეთნოგრაფიითა და საქართველოს სამხედრო ისტორიით დაინტერესებული მკითხველებისათვის. სტატიები თავის დროზე გამოქვეყნებული იყო ქართულ პერიოდულ გამოცემებში (1883 და 1913 წლებში), რომლებიც ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და ამიტომ მათი ხელახალი გამოცემა ფრიად საშური საქმეა. წიგნს ერთვის რ. გუჯეჯიანის ნარკვევი თათარყან დადეშქელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტების შესახებ.

რედაქტორი: პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი

რეცენზენტები: პროფესორი ქეთევან ხუციშვილი
მირიან ხოსიტაშვილი,
ეთნოლოგიის დოქტორი

თბილისი
2024

UDC: უაკ: 39(=353.1)+355(479.22)
Თ-215

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
© როზეტა გუჯეჯიანი
ISBN: 978-9941-9903-7-3

სარჩევი

თათარყან დადეშქელიანის (1855-1910 წწ.) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები 5

მოკლე განხილვა საქართველოს მხედრობისა 1089-1222 წლამდე 21

შენიშვნა შესახებ სიტყვსა - „დასტაგისა“ 44

თათარყან დადეშქელიანის (1855-1910 წწ.) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, ვიდრე XX საუკუნის ათიან წლებამდე, თათარყან დადეშქელიანის სახელი კარგად იყო ცნობილი ტფილისისა და ქუთაისის მეწინავე საზოგადოებისათვის.

სვანეთის მთავართა შთამომავალი თათარყანი სამხედრო პირი, სწავლული, ქველმოქმედი და ეროვნული სულისკვეთების მქონე მოღვაწე გახლდათ.

დადეშქელიანთა საგვარეულო რამდენიმე თათარყანს იცნობს. ისტორიაში განსაკუთრებით ცნობილი სამი მათგანია: თათარყან პირველი (პირობითად), რომელიც ცნობილია სისასტიკითა და დამპყრობლური ბუნებით, თათარყან მეორე (პირობითად) - მისი შვილთაშვილი, აქ წარმოდგენილი ნაშრომების ავტორი, თათარყან მეორის ძმისშვილი - მესამე თათარყანი, ჯანსუღ დადეშქელიანისა და ანეტა დადიანის ვაჟი, რომელსაც სასახელო ბიძის პატივსაცემად დაარქვეს ეს სახელი და რომელიც სრულიად ახალგაზრდა დაიღუპა პირველ მსოფლიო ომში.

დადეშქელიანთა საგვარეულოს უძველესი და პირვანდელი განსახლების არეალი სვანეთია, ეცერის თემია, კონკრეტულად კი - სოფელი ქურაში. იქვეა მათი კარის სასაფლაო. შემდეგ ისინი რეზიდენციას აშენებენ სოფელ ბარშში. ყალიბდებიან ბალსქვემო სვანეთის მთავრებად. გარკვეულ პერიოდიდან (XVIII საუკუნის ბოლოს) სამთავრო დინასტია ორ ნაწილად იყოფა. უფროსი შტო (ციოყისა) კოშკსა და სასახლეს იშენებს ჩუბეხევში (ფარში), ხოლო თათარყან პირველის შტო რჩება ეცერში და განაგებს ეცერს, ცხუმარსა და ბეჩო-ლეჩყანს. შემდეგ უკვე თათარყან პირველის ვაჟები - ოთარი და ჯანსუღი ინაწილებენ სამფლობელოს. ოთარი გადადის ბეჩოს თემში, ხოლო ჯანსუღი რჩება ეცერში.

რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ სვანეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ ეცერისა და ცხუმარის მამულს ფლობს თათარყან-ის (I) ვაჟის ჯანსუღის ძე თენგიზ დადეშქელიანი (1833 ან 1835-1885 წწ.).

თენგიზსა და მის მეუღლეს ეკატერინე (ჩიჩი) ანჩაბაძეს (-1879 წ.) ჰყავდათ ხუთი ვაჟი: თათარყანი (II), ოფიციალური სახელით ივანე (1855-1910 წწ.), ოთარი ოფიციალური სახელით, კონსტა-

ნტინე (1857- 1931 წწ.), ჯანსუღი, ოფიციალური სახელით გიორგი (1858-1921 წწ.), ლევანი (1860-1903 წწ.) და ციოყი, ოფიციალური სახელით ალექსანდრე (1862-1910 წწ.).

თენგიზისა და ეკატერინეს ყველა ვაჟს მიღებული ჰქონდა სათანადო განათლება. ისინი მნიშვნელოვან სამხედრო ან ადმინისტრაციულ თანამდებობებს ფლობდნენ და ჩართულნი იყვნენ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში, ხოლო თათარყანი სამეცნიერო პუბლიკაციებსაც ქმნიდა. ძმების მონაწილეობა ჩანს იმდროინდელი ტფილისისა და ქუთაისის კულტურულ ცხოვრებაში, მათი სხვადასხვა დამსახურების შესახებ მოთხრობილია ჟურნალ-გაზეთებში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტებში, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩანაწერებში და სხვ. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობაში. ცნობილია, რომ ამ საზოგადოების წევრები თათარყანთან ერთად იყვნენ მისი ძმებიც: ოთარ თენგიზის ძე დადეშქელიანი, ჯანსუღ თენგიზის ძე დადეშქელიანი[1].

თავად დადეშქელიანთა ეს თაობა ქმნიდა ადგილობრივ კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეს, ისინი მასპინძლობდნენ და აცნობდნენ მოგზაურებს, ადმინისტრაციულ თუ სამხედრო მოხელეებს, სასულიერო პირებს და მეცნიერებს სვანეთის ყოფასა და კულტურას, ადგილობრივ პრობლემატიკას. მათი დახმარებით გაიხსნა ეცერში პირველი ორკლასიანი სასწავლებელი და სხვ.

დადეშქელიანთა ამ დიდი ოჯახის შესახებ დეტალურად მოგვითხრობს ალექსანდრეს ქალიშვილი კატი 1930-იან წლებში გამოცემულ მემუარებში: *„ხუსეთის მთავრობამ თენგიზ დადეშქელიანის სამი ვაჟი მძევლად აიყვანა და პეტერბურგში მიაღებინა სწავლა-განათლება. უფროსი თათარყანი (ჯონი), ხუთი წლის ასაკში კავალერისტთა საწვრთნელ სკოლაში, კადეტთა მოსამზადებელ კურსებზე ჩაირიცხა და სრულწლოვანებამდე, ვიდრე ერთი თვის შვებულება კანონით გარანტირებული არ ჰქონდა, სვანეთში ვერ ჩამოვიდა; თათარყანს არც ქართული ესმოდა და სვანურისაც არაფერი გაეგებოდა. ამიტომ ნათესავებს თარჯიმნის მეშვეობით ელაპარაკებოდა... მეორე ვაჟიც ოთარი (კონსტანტინე) ხუსეთში გაამწესეს, ის, 1931 წელს, პეტროგრადში გარდაიცვალა. მას ერთი*

1. ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული - ტომი I - ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1909.

ვაჟი, იღამაზი დაჰჩა - ოჯახის ამჟამინდელი თავკაცი. ჩემი მესამე ბიძა, ჯანსული (გიოჰგი), მისი ძმებივით მძევალი, ოფიცეჰი იყო და დაღესტნის (ჩჰდიღო კავკასია) გუბეჰნატორად დაინიშნა. მას ოჰი ვაჟი შეეძინა და ოჰივენი პიჰველ მსოფლიო ომში დაეღუპა, თავად კი 1921 წელს გაჰდაიცვალა. მეოთხე ბიძა, ღევანი, 1904 წელს, უშვილძიჰოდ განეჰიდა წუთისოფელს“ [1].

თენგიზის ვაჟთაგან პირველად გარდაიცვალა ლევანი (1903 წელი)[2]. ის გარდაიცვალა ავადმყოფობით.

ბუნებრივია, საბჭოთა პერიოდში თავად დადეშქელიანთა ცხოვრება და საქმიანობა, ძირითადად, მკვეთრად უარყოფითად აღიწერებოდა. რეალობა კი სხვაგვარი კვლევის საშუალებასაც გვაძლევს, ამიტომ კონკრეტული ფაქტების გამოვლენით, შევეცდებით, თათარყანის ღვაწლის წარმოჩენას, იდეოლოგიისაგან თავისუფალი ანალიზით.

როგორც უკვე ითქვა, თათარყანი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე და სწავლული, გიორგი შერვაშიძის, აკაკი წერეთლის, მამია გურიელის, რაფიელ ერისთავის, წმ. პოლიევქტოს კარბელაშვილის, წმ. ექვთიმე თაყაიშვილისა და სხვა თვალსაჩინო მოღვაწეთა მეგობარი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, შემწირველი.

თათარყანმა გიმნაზიის დასრულების შემდეგ, სამხედრო აღზრდა-განათლება მიიღო, დაამთავრა საკავალერიო სასწავლებელი რუსეთში, გახდა ლეიბგვარდიის პოლკის ოფიცერი (4. 08. 1875) და შემდეგ მიაღწია იმპერატორის ლეიბგვარდიის პოლკოვნიკის ჩინს[3], რის შემდეგაც გადადგა სამხედრო სამსახურიდან და დაბრუნდა სამშობლოში. აქ რამდენიმე ხანი მუშაობდა ქუთაისის გუბერნატორთან, ხოლო შემდეგ სვანეთში დაბრუნდა.

თათარყანი ქუთაისში ცხოვრების დროს, როგორც ჩანს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მუშაობდა ლეჩხუმის მაზრის უფროსადაც. მას ასე იხსენიებენ ცნობილი მეცნიერები ი. ივანიუკოვი და მ. კოვალევსკი. თათარყანი ამ ცნობილ მეცნიე-

1. კატი დადეშქელიანი, თავადის ქალი მუნდირში, ინგლისურიდან თარგმნა და ნარკვევი დაურთო ქეთევან ტომარაძემ, თბ., 2021, გვ., 23-24.

2. შემონახულია საგაზეთო განცხადება: „თავადი თათარყან თენგიზის ძე დადეშქელიანი ძმებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ ტირილი და მეორმოცე 1903 წლის 20 დეკემბერს გარდაცვალებულის თავადის ლევან თენგიზის ძე დადეშქელიანისა იქმნება 18 მარტს ამ 1904 წლის“ („ცნობის ფურცელი, 7 თებერვალი, ნომ. 2402, 1904 წ).

3. თეიმურაზ მიბჩუანი, „კონსტანტინე დადიშქელიანი“, თბ., 2003. გვ., 75.

რებს შეხვდა კალის თემში, სოფელ დავბერში, სადაც იმ დღეს ჩავიდა ქუთაისის სახედრო გუბერნატორი გენერალი-მაიორი ა. მ. სმეკალოვი (1828-1890 წწ.). თათარყანი გუბერნატორს ახლდა, თარჯიმნობდა და თან მეცნიერებს მასპინძლობდა. ცოტათი ადრე მეცნიერებმა გაიცნეს თათარყანის ძმა ჯანსუღი. *„სოფლის შესასვლელთან გავიცანით ახალგაზრდა ოფიცერი, თავადი ჯანსუღ დადეშქელიანი, მან ზრდილობიანად მიგვიღო და გამოხატა პატივისცემა ჩვენს მიმართ, აღნიშნა, რომ მისი და ძმის ადგილზე არყოფნის გამო ვერ დაგვხვდნენ ეცერში. მიგვიპატიჟა სუფრასთან და სთხოვა მზარეულს, სასწრაფოდ მოემზადებინათ ჩვენთვისაც ბიფშტექსი... ამასობაში ლატფარიდან დაეშვა გუბერნატორი თანმხლებ ამალასთან ერთად. გუბერნატორის ხალხთან შეხვედრის შემდეგ, რა დროსაც თარჯიმნობდა თათარყან დადეშქელიანი, მიგვიწვიეს სადილზე და აქ გავიცანით გუბერნატორის ამალის წევრები, მათ შორის თავადი თათარყან დადეშქელიანი, ლეჩხუმის მაზრის (სადაც შედის სვანეთიც) უფროსი... შემდეგ თავადმა დადეშქელიანებმა კვლავ იზრუნეს ჩვენზე და მოგვიწყვეს ღამის გასათევი ერთ-ერთ სვანურ სახლში."*[1]

ამ პერიოდის შესახებ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებში ხშირად იხსენიებიან თათარყანი და მისი ძმა ალექსანდრე, მაგალითად, 1888 წლის 13 ოქტომბრის დოკუმენტიდან ჩანს, რომ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის საპატივცემულოდ ქუთაისის ბაღში გამართულ საღამოზე მიწვეულ პირთა სიაში ლეჩხუმის მაზრიდან, სხვა არისტოკრატთა შორის, შერჩეულნი არიან თათარყან თენგიზის ძე დადეშქელიანი და ალექსანდრე დადეშქელიანი.[2]

ფრიად საყურადღებოა ცნობილი მეცნიერის გრაფინია პრასკოვია უვაროვას მემუარები, რომელშიც ის დიდი პატივისცემით იხსენებს თათარყან დადშქელიანს: *„სვანეთში ვსარგებლობდი ადგილობრივი მფლობელის, თავად თათარხან დადეშქელიანისა და მისი ოჯახის მასპინძლობითა და რჩევებით/მითითებებით. თათარხანი ჩემთვის, მსგავსად თავად ყაზბეგისა*[3]*,*

1. В Сванетии. Из путешествия. И. Иванюкова и М. Ковалевского. - Вестник Европы. 1886. VIII. С.53-56.

2. ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლები, დოკუმენტების კრებული; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მერაბ კეზევაძემ, ქუთაისი, 2009. გვ. 97

3. იგულისხმება ალექსანდრე ყაზბეგი, რომელსაც მეცნიერი შეხვდა 1879 წლის ზაფხულში სტეფანწმინდაში.

მშობიუჰ მთებთან და ხეობებთან მიჯაჭვუდ მეოხე ნიმუშს წა-ჰმოადგენს. მან აღზიდა-განათლება ჩიდიდოეთ ჰუსეთში მიიღო, უფრო მეტიც, დაასრულა პაჟთა კოიპუსი, ჩადგა სამხედრო სამსახურში, მისი უდიდებულესობის ცხენოსანთა ამაღის წევრი იყო. გრძნობდა იმპერატორის დიდ ყურადღებას. იმსახურა პოლკოვნიკის ჩინამდე, მაგრამ დაიდობდა თავის მთებზე, მიატოვა ყველაფერი და დაბრუნდა კავკასიაში. გარკვეული ხნის მანძილზე იმსახურა ქუთაისის გუბერნატორთან, მაგრამ მისთვის ესეც მცირე ჰამ აღმოჩნდა, მიატოვა ყველაფერი და სამუდამოდ დაბრუნდა სვანეთში, საგვარეულო მამულში, სადაც ცხოვრობდა თავის სახლში, მსგავსად თანასოფლელებისა...“[1]

ცნობილია, რომ პ. უვაროვამ სვანეთში იმოგზაურა 1895 წელს. შემონახულია ერთი საყურადღებო ცნობაც, თუ ვინ იყო გრაფინიას მეგზური და მასპინძელი ამ მოგზაურობის დროს: "მოსკოვის საარხეოლოგო საზოგადოების თავმჯდომარე გრაფინა უვაროვისა ივლისის ნახევარს სამეცნიერო აზრით სვანეთსა, ხევსურეთსა, ფშავეთსა და გორის მაზრის ზოგიერთს ადგილებში მიემგზავრება. უვაროვისას ამ მოგზაურობაში თან გაჰყვება თავადი თათარხან დადიშქელიანი. ტფილისში გრაფინას 8 ივლისს, დღეს ელიან".[2]

80-იან წლებში თათარყანის სახელი ხშირად ფიგურირებს ქუთაისისა და ტფილისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ დროიდან შემოგვრჩა თათარყანის, მისი ძმის ოთარისა და რძლის - ნინო გამრეკელი-დადეშქელიანის შესანიშნავი მხატვრული სურათებიც. ორივე ძმა გამორჩეულად წარმოსადეგი გარეგნობისა ყოფილა, ამავე დროს, წარჩინებულნი, განათლებულნი, მრავალი ევროპული ენის მცოდნენი, ცნობილნი იმდროინდელი იმპერიის მასშტაბით. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ სწორედ თათარყანი და ოთარი იქნენ შერჩეულნი „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების სცენური დადგმებისათვის, რითაც სარგებლობდა ცნობილი მხატვარი მიხაი ზიჩი. თათარყანის ფოტო ავლენს, რომ ის ტარიელს განასახიერებდა.

სხვადასხვა მოგონებითა თუ მხატვრული ნაწარმოებით შემოგვენახა ინფორმაცია, რომ თათარყანი ქალთა გულთამპყრობელიც ყოფილა. *„თათარყანი კეთილშობილ ქალთა საზოგადოებაში შესაშური პოპულარობით სარგებლობდა. მშვენიერი*

1. Уварова П.С. Былое. Давно прошедшие счастливые дни. М., 2005. (https://kukovenko.ru/mozhajskie-dvoryane/byloe-davno-proshedshie-schastlivye-dni)

2. “ივერია”, 8 ივლისი, 1895. №143.

ქაღბატონები აღმეჩითებდნენ და მასზე ათასგვარ ისტორიებს ჰყვებოდნენ. ეჩოხეღ, ეჩო-ეჩო ღიდგვაროვან ქაღს, თათარყანზე ღაპარაკი ჩომ ეჩოობ გაგრძეღებია, განაწყენებუღ მამია გუჩიეღს, ცნობიღ პოეტსა და მთარგმნეღს, ავტორს გარმაუჩებუღი ღექსისა

„ადამიანი“, ჩაუღაპარაკებია:

სუღ თათარხან,

სუღ თათარხან,

ჩვენც - ხანდახან,

ჩვენც - ხანდახან“[1]

1890-იანი წლებიდან თათარყანი სვანეთში, საგვარეულო მამულში ეცერის თემის სოფელ ბარშში დასახლდა. აქ თათარყანი გარდაცვალებამდე ცხოვრობდა. მას ქლექი აწუხებდა, რაც რუსეთის მძიმე კლიმატურ პირობებში სამხედრო სამსახურში ყოფნისას შეეყარა. ის 1910 წლამდე სათავეში ედგა მამულს. სამწუხაროდ, უცოლ-შვილოდ გადაეგო.

თათარყანის საცხოვრებლად სვანეთში დაბრუნება მნიშვნელოვანი ფაქტია იმდროინდელი სვანეთისათვის. ეცერში დაბრუნებით მან ყურადღება გაამახვილა თავის მამულზე, დანერგა სვანეთისათვის მეურნეობის მართვის ახალი სტილი, ჩაუღრმავდა სვანეთის ყოფას, შეკრიბა საყურადღებო ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალა. მასპინძლობდა და სვანეთის კულტურას აცნობდა მკვლევარ-მოგზაურებს, ზრუნავდა ადგილობრივთა სოციალური ყოფის გაუმჯობესებისათვის და სხვ.

თათარყანი სვანეთიდანაც თვალს ადევნებდა ტფილისისა და ქუთაისის კულტურულ ცხოვრებას. მართალია, იმდროინდელ პირობებში, ეცერამდე დიდი დაგვიანებით აღწევდა პრესა და წერილები, მაგრამ თათარყანი მიმდინარე მოვლენათა კურსში იყო. მაგალითად, შემონახულია მისი მისასალმებელი წერილი რაფიელ ერისთავისადმი:

„წეჩიღი სვანეთიდამ

ჩვენო საყვარეღო პოეტო ჩაფიეღ!

ნუ გვიწყენ, ჩვენო სახეღოვანო პოეტო, თუ „თოვღიან-ყინუღიან“ სვანეთიდამ საღამი გვიან მოგდის. ნუ გიკვიჩს, თუ 22 ოქტომბჩის საეჩო ღღესასწაუღის ამბავმა მჩოღოდ 15 ნოემბეჩს მოაღწია ჩვენამდე. ამისი მიზეზი გახღავს ის მომჩიბღავი გეოგრაფიუღი მდებარეობა ჩვენი საეჩთო სამშობღოისა... დააჯეჩეთ თქვენი სამშობღოს მოტჩფიაღე გუღი, ჩომ იაღბუზის, უშბასა და

1. ქეთევან ტომარაძე, ნარკვევი - წიგნიდან „კატი დადეშქელიანი, თავადის ქალი მუნდირში”, თბ., 2021, გვ., 315.

თვეთნუღდის ძიჩშიაც ეით მუჭა სვანებს ქაითვეღთ მოძმეებს უყვაიხაით და ღიდად აფასებენ თქვენს საზოგადო სამშობღოსათვის ნაყოფიეის მოღვაწეობას... თქვენს „სამშობღოს ხევსუიისას“ იგეთივე აღტაცებით მღეიიან სვანის პაწია ბავშვები, ჩოგოიათაც ქაითღ-კახეთის“...

თავ. თათაიყან დადიშკეღიანი

მღვ., გაიოზ ძიმისტაიაშვიღი

თავისუფაღი სვანი და სხვანი“.[1]

საყურადღებოა არაერთი დიდი მეცნიერისა და მოგზაურის მოგონებანი თათარყანის მასპინძლობისა და გულისხმიერების შესახებ: მოგზაურობის ჩანაწერებში მის შესახებ მოგვითხრობენ მაქსიმ კოვალევსკი და ევგენი ივანიუკოვი, გრაფინია პრასკოვია უვაროვა, წმ. პოლიევქტოს კარბელაშვილი, წმიდა ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები.

მოვიყვანთ ერთ მაგალითს წმ. პოლიევქტოს კარბელაშვილის 1903 წლის მოგზაურობიდან: *„ვიცეღი ეზო თ. დადიშქეღიანისა ეითიანად განათებუღი იყო. დაღადუღ-დაქანცუღებს სიცოცხღე მოგვიმატა ძვეღმა ქაითვეღუიმა გუღგაშღიღობამ და შუა ღამე გადასუღი იყო, ჩომ მაღად-განიეის აივანში ყვეღანი ვსტკებოდით ჩვენის გუღუხვის მასპინძღის საგუღისხმო საუბიითა... აივანზე ჩომ გავიაი-გამოვიაიეთ, მთეღის სახღის კედეღი სხვა და სხვა წაიწეებით მოფენიღი აღმოჩნდა: ინგღისეღი, ფიანგი, გეიმანეღი, შვეიცაიეღი, ჩუსი, შინაუი გაიეუღი, ვინ გინდა, აქ აია ყოფიღა და სახსოვიად ყვეღას თავისის ვინაობის წაიწეით აღუნიშნავს სიამოვნების განტაიებუღი ღიო. მომაგონდა აფიიკის უღაბნოებში და შვეიცაიის მთებში დაღღიღ მოგზაუთათვის სანეტაიო განსასვენებეღი სასტუმიოები! ია კი კაცის ხეღით საშუაღებაა, აისა ჰზოგავს გუღუხვი მასპინძეღი მოკღე ზაფხუღში უღეეღ სტუმათა სასიამოვნოდ. ჩვენ ოი ღღე და სამი ღამე დავიჩით ბ.ნ თათაიყანთან და ამ ღიოს ოთხი-ხუთი ჩიგობა მგზავიებისა წავიდ-მოვიდნენ: ზოგს ისტუმიებდნენ და თან ატანდნენ სანოვაგეს, ზოგს უმასპინძღებოდნენ, ზოგს მოეღოდნენ. ათი-თოიმეტი მომსახუიე მგზავიებს უნდებოდნენ, აქეთ-იქით ფუსფუსებდნენ და ბატონის ყვეღა ნაბიძანებს აკეთებდნენ... 19 ივღისს გამოვეთხოვეთ ჩვენს დაუვიწყაის, მასპინძეღს, ბ.ნ თათაიყანს, მაგიამ თავისი მამა-პაპუი გუღუხვობა დააგვიიგვინა ღიდის დავაღებით: ჩვენთან ეითად ინება მგზავიობა მესტიამდე, სადაც ღამე ეითათ*

1. თ. დადიშკელიანი, გ. ძიმისტარაშვილი, თავისუფალი სვანი, წერილი სვანეთიდან, - გაზ. „ივერია“, 12 დეკემბერი, №268, 1895. გვ., 2.

სასიამოვნოთ გავათიეთ. მეოხე დღეს, 20 ივლისს მოვისმინეთ წიხვა სეტის წმ. გიოხგის საყდარში. მწიხველი იყო მამა გაიოზ ძიმისტარიშვილი, ხომლის მიხვხა-მოხვხამ, მკაფიოდ გამოთქმამ და ღმობიერმა ხმამ ჩვენი ძველი მღვდელები თვალწინ დაგვიყენა. ასე შუადღის ხანს გამოვეთხოვეთ საყვარელს თათარყანს და მამა ბესარიონ ნიჟარაძეს, ტკბილ მოხუცს გაიოზს და გულ-დანაღვლიანებულნი წამოველით მდ. მესტიის ჭალის მარცხენა ნაპირ-ნაპირ“[1].

შემონახულია ფოტოც, სადაც თათარყანი ცნობილ მეცნიერებთან და ალპინისტებთან ერთადაა გადაღებული.

ამავე პერიოდს მიეკუთვნება სხვა საინტერესო და ერთობ უცნაური ამბავი. თათარყანს ერთ-ერთი ალპინისტი ქალბატონისათვის უშბა „უბოძებია“. ეს ამბავი განსაკუთრებით დეტალურად „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთ-ერთ ნომერშია აღწერილი. ქართული გაზეთი ეყრდნობა გაზეთ „ბრიუსელერ

ცაიტუნგ“-ის 1942 წლის 24 სექტემბრის ნომრის სტატიას, სათაურით, „თავადი ჩუქნის უშბას“. ქართული გაზეთი მოგვითხრობს, რომ *ეს თემა გეიმანული სამყაროსთვის განსაკუთრებით აქტუ-*

1. მღ. პ. კარბელაშვილი, სვანეთში ორი კვირით, - ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა, V, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბ., 2022. გვ., 125-146.

აღუჩი მეოხე მსოფლიო ომის დროს გამხდარა, როდესაც მესამე ჩაიხის ჯარები ჩრდილოეთ კავკასიაში შემოიჭრნენ და იაღბუზზე ნაცისტური გერმანიის დროშა აღიმართა... სწორედ ამ პერიოდში გერმანიის მიერ უკვე დაპყრობილ ბელგიაში გამომავალმა გაზეთმა აღწერა ეს ისტორია: „სტუმართმოყვარეობა კავკასიელისთვის უწმინდესი მოვალეობაა. ამ დიდებული სტუმართმოყვარეობის შესახებ იუწყებოდა ცოტა ხნის წინათ მიუნხენში მცხოვრები გერმანელი მთამსვლელი და მკვლევარი, დოქტორი ვილი ჩიკმერ ჩიკმერსი. მიუხედავად იმისა, რომ 1903 წელს მისი მოგზაურობისას ეს მხარე უკვე რუსებს ეკავათ, ჩომელთა წინააღმდეგაც თავისუფლებისმოყვარე კავკასიელები სამოც წელზე მეტ ხანს თავზეხელაღებულნი იბრძოდნენ (ჯერ მეფის რუსეთთან, მოგვიანებით კი ბოლშევიკების სისხლიან ტერორთან...), მკვიდრ მოსახლეობას წინაპართა ტრადიციები არ დაუკარგავს. ამხელა მსხვერპლის და იძულებითი მოჩრილების მიუხედავად, კავკასიის მთებში მაინც შემორჩენილი იყო საკუთარ სახლში, როგორც ციხე-სიმაგრეში, გადარჩენილი ბრძენი და სულით-ხორცამდე დიდებული თავადის სახე. დოქტორი ჩიკმერი თავის ექსპედიციასთან ერთად ლაილაშიდან სვანეთს გაემგზავრა, ჩათა კავკასიის ულამაზესი და იმავდროულად უთულესი მთა უშბა დაელაშქრა... თავდაპირველად გერმანელმა მთამსვლელებმა სვანეთში ჯერ 3995 მეტრი სიმაღლის მთა დაიპყრეს, შემდეგ კი ეწერში[1] გადავიდნენ. მაშინ იქ თავად თათარხან დადეშქელიანის ხეზილენცია იყო, სულ მცირედით დამოკიდებული რუსეთის მეფეზე. დადეშქელიანი გამოიყენებოდა, როგორც ჩერქეზულ-სვანური სისხლის ძველი ჩაინდი, ჩომელიც გარკვეულ დამოუკიდებლობას ჯერ კიდევ ინარჩუნებდა. გერმანელი მთამსვლელები მისთვის აშკარად ძვირფასი და მეტად სასიამოვნო სტუმრები იყვნენ. მან ისინი მიიღო დიდი გულითადობით. სულაც არ ბაძავდა ვილაც მომხიბვლელ, ცბიერ ჯიგიტს ან წარსული დროების ჩომელიმე გმირს, ჩომელთაც დიდი სტუმართმოყვარეობის მიუხედავად, როგორც ამბობენ, ხშირი და დიდხნიანი სტუმრიანობა თავს აბეზრებდათ... თავად თათარხან დადეშქელიანისთვის გერმანელი მკვლევარები და მთამსვლელები მეტად ძვირფასი სტუმრები იყვნენ და ღვინო კვლავაც ღვარად მოედინებოდა. მოზრდილი ხბო მოიყვანეს უცხოელი სტუმრების ფერხთით და დაკლეს... ამასობაში თავადი და მისი სტუმრები ქათმებს და სხვა „პირველ საჭმელს“ მიირთმევდნენ და ორჯერ, ოცდაოთხსაათიანი განუწყვეტელი ნადიმის შემდეგ, ის დიდი ხბოც შემოექამათ. დიდ ბოცებში ჩასხმული

1. იგულისხმება ეცერი.

კახური წითელი ღვინოც ნელ-ნელა შემოელიათ. დოქტორ ჰიკმეჰის მოგზაურთა ამხანაგობაში იყო ეთი ავსტრიელი ქალიშვილი სენჩი ფონ ფიკეჰი ინსბრუკიდან... ჰომელიც მოგვიანებით ვენაში დოქტორ ზაიტცს მისთხოვდა. ეს გოგონა სახელგანთქმული ტიროლელი მთამსვლელის და ალპების მკვლევარის ჰაინც ფონ ფიკეჰის და იყო. თავადაც თვითნასწავლი და საკმაოდ გამოცდილი ალპინისტი... თავადმა თათარხან დადეშქელიანმა თავისი სამფლობელოდან ამ მომხიბვლელ ახსებას უდამაზესი მთა უშბა აჩუქა. თავად თათარხან დადეშქელიანის მიერ ეწერში, 1903 წლის 25 ივლისს საკუთარი ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული ჩუქების დოკუმენტი ინახება მიუნხენის ალპების მუზეუმში, სპეციალურ შუშაში. „ფროილაინ სენჩი ფონ ფიკეჰი ინსბრუკიდან იღებს ჰოგოჰც საკუთრებას მთა უშბას, ჰისი შესატყვისი ასტრონომიული პუნქტია: 160 19d 25- 89 (უმაღლესი მწვერვალი) 430 7d 34- 62. ჩუქების საბუთს უკანა მხარეს დოქტორი ჰიკმეჰსი და ექსპედიციის წევრები, მოგვიანებით კი ჯონ ჰარისონ ვიგნერი და ორი კავკასიელი ამოწმებენ, ჰომ თავადმა ტიროლელ ფროილაინს სენჩი ფონ ფიკეჰს მთა უშბა, ჰოგოჰც საკუთრება, გადასცა. ეს გახლდათ მართლაც ჰაინდული საჩუქარი“[1].

თათარყან დადეშქელიანის სახელს სხვადასხვა ისტორიული ფაქტი უკავშირდება. მაგალითად, ცნობილია, რომ თავად თათარყანის უშუალო მცდელობითა და კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მისიონერ-ინსპექტორის მამინაიშვილის აქტიური მონაწილეობით 1899 წელს ეცერში სკოლა გაიხსნა. *„ერთი წლის მანძილზე სკოლა განთავსებული იყო თავად მოსოსტრ დადეშქელიანის სახლში, მომდევნო წელს კი სკოლისათვის ადგილი გამოყო სვანეთის სკოლების საპატრონო მზრუნველმა თავადმა თათარყან დადეშქელიანმა. ამ სკოლის დაარსების პირველსავე წელიწადს თავი მოიყარა ოჰმოცდაათ შეგირდამდე, რაც იშვიათ მოვლენას შეადგენს სვანეთში“...* სკოლის დაარსების პირველსავე წელს შეკრებილ მოსწავლეთა შედარებითმა სიმრავლემ სკოლის მესვეურებს აფიქრებინა, რომ გადაეკეთებინათ იგი ორკლასიან სასწავლებლად. *„გასულ სამოსწავლო წელს ამ სკოლაში სწავლობდა 65 შეგირდი. ამ სკოლის შენობის აგებაში და სზოგადოთ, მისს უკეთ მოწყობა-წარმატებაში დიდი მონაწილეობა მიიღო კნ. ოლღა დადიშქელიანისამ, ჰომელიც ბ.მ-ის წარდგინებით დამტკიცებულ იქმნა ეცერის სკოლის*

1. საქართველოს რესპუბლიკა, 2014-09-06; მასალა მოამზადა ზვიად მიქელაძემ. http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2014&art=3784

საპატიო მზრუნველად[1]. სკოლის გამოცდასაც კარგად ჩაუვლია: *„წელს სკოლების ინსპექტორი მამინაიშვილი 10 ივლისს მოვიდა სვანეთში... 11 ივლისს ეცერში. გამომცდელებად იყვნენ ინსპექტორი, საპატიო მზრუნველი სვანეთის სკოლებისა თავ. თათარხან დადიშკელიანი, მზრუნველი ეცერის სასწავლებლისა კნეინა ოღღა დადიშკელიანი, ფარის მასწავლებელი ელენე ასათიანი... გამოცდამ დილის ცხრა საათიდან ნასუადღევის ოთხ საათამდე გასტანა. ყველა ნასიამოვნი დარჩა მოსწავლეთა სიტყვა-პასუხით“*[2].

საყურადღებო ინფორმაციაა დაცული კიდევ ერთ პუბლიკაციაში: *„წელს 10 ივნისს სვანეთის სკოლების საპატიო მზრუნველის თავად თათარყან დადეშქელიანის სახლში მასწავლებელთა კრება მოახდინა, რომელსაც თვითონ ჰთავმჯდომარეობდა. კრებამ გასტანა ორი დღეს და განიხილა რამდენიმე საკითხი... ამ საკითხთა შორის იყო მოწაფეთა მშობლების სილარიბის პრობლემა და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ამ კრების ორი გადაწყვეტილება: „წმ. კვირიკესა და ივლიტეს სახელობაზე დაარსდეს „ძმობა“, რომლის აზრიც უნდა იყოს სვანეთის სკოლების ღარიბი შეგირდების დახმარება“. „მეორე წინადადება... რომელიც კრებამ მიიღო, იყო სასწავლო სახელმძღვანელოებისა და ნივთების საწყობის დაარსება სვანეთში“. ჩემი აზრით, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა კრების კიდევ ერთი დასკვნა: „შემუშავებულ იქნა საღი საპედაგოგო პრინციპები: 1. ქართულის ენის შემწეობით სწავლება ყველა საგნებისა პირველ ორს წელიწადს და აგრეთვე მესამესაც რამდენიმედ. მხოლოდ IV გასათავებელ წელს უნდა სწარმოებდეს ყველა საგნების სწავლება რუსული ენის შემწეობით“* [3]. ეს დასკვნა სრულიად ეწინააღმდეგებოდა იმ დროისათვის იმპერიის საგანმანათლებლო სისტემის მიდგომას კავკასიისადმი, ეროვნულ ენაზე სწავლა მიუღებელი იყო იმპერიის მესვეურთათვის. ეცერის სკოლის მოწაფეთა რიცხვი მალე გაზრდილა. ლევან

1. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 21 სექტემბერი, პარასკევი, ნომ. 1588. წერილის ავტორია დ. ანტონიძე. ამ სასიხარულო ფაქტს ოთხი წლის შემდეგაც ეხმაურება ქართული პრესა: „ოთხი წელია, რაც სოფელ ეცერში არსებობს სასწავლებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოებისა... გასულ 1901 წელს დაგვინიშნეს მასწავლებლებად: საღმრთო სჯულისა - მღვდელი ილარიონ კახაძე და სხვა საგნებისა - ალექსანდრე კვაჭაძე და ივანე მუსერიძე“ (გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 3 აგვისტო, 1902 წელი, ნომ. 1886. წერილის ავტორია ბუნებით სვანი).

2. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 3 აგვისტო, 1902 წელი, ნომ. 1886. წერილის ავტორია ბუნებით სვანი.

3. გაზეთი „ივერია“, 5 ოქტომბერი, ნომ. 215. წერილის ავტორია ანტონიძე, „ზემო სვანეთი“.

დადეშქელიანის წერილიდან ცნობილი ხდება, რომ *„სვანეთის ცხოვრებას მოღიმარე მხარეცა აქვს. ეს არის სწავლა-განათლება: აქ დაარსდა 7 სკოლა ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებისა, რომელმაც მსწრაფლ მოიზიდა ხალხი. მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ამ სკოლებში... ქართველსაცა აქვს ყურადღება მიქცეული, რადგან საზოგადოდ ხალხი ძლიერ მონდომებულია შეისწავლოს ქართული წერა-კითხვა. მარტო ეცერის საზოგადოებაში 90 მოწაფეა. არათუ მარტო შვილების სწავლას სცდილობენ მშობლები, თვითონაც არიან მსურველნი ქართულის წერა-კითხვის შესწავლისა“*[1]. სამწუხაროდ, მომდევნო წლებში იმპერიამ აამოქმედა ახალი პროგრამა, რომელსაც იმ დროინდელი მოღვაწე ქართველნი „უკუღმართ პროგრამას“ უწოდებენ. ის მიზნად ისახავდა სვანეთისა და სამეგრელოს, აგრეთვე, აფხაზეთის სკოლებიდან ქართული ენის ამოძირკვას და მის ჩანაცვლებას სლავურ გრაფიკას მორგებული სვანური და მეგრული მეტყველებითა და აფხაზურით. ამ პრობლემას მრავალ პუბლიკაციას უძღვნის „ივერია“. მას ეხმაურებიან ადგილობრივი მოღვაწეები სვანეთიდან და სამეგრელოდან[2].

თათრაყან დადეშქელიანი ზრუნავდა სოციალური ფონის გაუმჯობესებისთვისაც. ეთნოგრაფიული მასალით ცნობილია, რომ ის ობლებსა და ავადმყოფებს შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა. მაგალითად, პაპაჩემი ზაქარია გურჩიანი დიდი სიყვარულით იგონებდა „ოთარშერ“ს - ოთარისანებს (ასე სამთავრო სახლის წარმომადგენლებს უწოდებენ სვანეთში): დედით ობოლი ზაქარია, მისი და ელენე და ძმა ბესარიონი თავად თათარყანს სასახლეში აუყვანია, წერა-კითხვა უსწავლებია და გზაზეც დაუყენებია.

შემონახულია თათარყანის ქველმოქმედების უფრო მასშტაბური მაგალითებიც: 1894 წელს უამინდობის გამო სვანეთში, რაჭასა და ლეჩხუმში შიმშილობა ჩამოვარდა, გავრცელდა საქონლის ჭირიც და მოსახლეობამ დაკარგა შემოსვალის მთავარი წყარო. გაზეთ „ივერიის“ წერილიდან ცნობილი ხდება, რომ ამ წელს თათარყანმა სვანეთის სოფლები შემოიარა, დააზუსტა პრობლემური ვითარება, მოსახლეობას ასწავლა საქონლის ჭირთან გამკლავების წესები, შემდეგ კი დასავლეთ

1. გაზეთი „ივერია“, 27 მარტი, ნომ., 1902.

2. რ. გუჯეჯიანი, ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან (ლევან დადეშქელიანი - საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი), - კრ. ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, I, ქუთაისი, 2009. გვ., 68-77.

საქართველოს შეძლებულ მოსახლეობას, ნათესავ-მეგობრებს დახმარება სთხოვა და საბოლოოდ სვანეთის გაჭირვებულ მოსახლეობაში დაარიგა 1369 ფუთი სიმინდი: *„მოგეხსენებთ, ჰომ შაჰშან და შაჰშანწინ სვანეთში ნაკღები მოსავაღი იყო. ამ გაჰემოებამ მიიქცია ყუჰაღღება ჰოგოჰც მთავჰობისა, ისე აღგიღობჰივი გაზეთებისაც. მთავჰობამ ხაღხს მისცა სესხად ოც-დაეჰთი ათასი მანეთი, გაზეთები სიტყვით შეეწივნენ და ამ სიტყვამ გამოიწვია თანაგჰძნობა და დახმაჰების სუჰვიღი კეჰძო კაცთა შოჰის... ამის მაგაღითი თვაღ-წინა გვაქვს. თ. თათაჰყან დაღეშკეღიანმა სთხოვა თავისს ნაცნობებს, ჰომ იმათ სიმინდითა და ფუღით დახმაჰება აღმოეჩინათ სვანებისათვის. თავად თათაჰყანის თხოვნამ გასჭჰა. მოკღე ღჰოში შეგჰოვდა ათას-სამას-სამოცდა-ცხჰა ფუთი სიმინდი და ხუთასი მანეთი ფუღი. სამეგჰეღოს თავადმა შემოსწიჰა სვანეთს ექვს-ასი ფუთი, თ. ღ. ე. დაღიანმა ასი ფუთი, ხოღო დანაჰჩენი 669 ფუთი სიმინდი გამოიღეს ქუთაისის მაზჰის მცხოვჰებღებმა თავიანთ მაზჰის უფჰოსის ბ-ნ სოკოღსკის ჩაგონებით, ჰომეღიც სწოჰეღ ღიჰსია ღიღის მაღღობისა. ეს 1369 ფ. სიმინდი ქუთაისი მაზჰის მცხოვჰებღებმა და ზოგიეჰთ ღეჩხუმისამ მუქთად მოიტანეს აჭაჰას[1] კანცეღაჰიაში, ჰომეღიც სვანეთიდგან ოჰი ღღის სავაღზეღ იმყოფება. აქეთგან სვანეთამდე სიმინდის წაღება აღგიღობჰივის მცხოვჰებღებისათვის ეჰთობ სამძიმო იყო გზების უვაჰგისობისა გამო და ამის გამო თ. თათაჰყანმა გამოუცხადა სვანებს: ვისაც გსუჰთ და ჰამდენიც შეგიძღიათ, მოიტანეთ სიმინდი კაღამდე (თავისუფაღ სვანეთში სძევს) თქვენის ცხენებით, იმ პიჰობით-კი ჰომ ეჰთი მესამედი უთუოდ კაღაში უნდა დატოვოთ იმ ღაჰიბ ოჯახების დასაჰიგებღაღ, ჰომეღთაც აჰც საკუთაჰი ცხენი ჰყავთ და აჰც სხვა ჰაიმე გზით შეუძღიათ აჭაჰიდამ სიმინდის მოტანა. ხაღხმა სიამოვნებით აასჰუღა ეს წინაადადება და 20 ოქტომბჰამდე სიმინდი სჰუღად წამოიღო აჭაჰიდგან. ნოემბეჰში თ. თათაჰყანი თავად ამობჰძანდა კაღას, დაჰყვა აქეღამ ყვეღა საზოგადოებას და თავის თანდასწჰებით დაუჰიგა ღაჰიბ ოჯახებს ხვეღჰი სიმინდი. საჭიჰოა აღვნიშნოთ, ჰომ ღაჰიბ ოჯახებს თვითონ ყჰიღობა ასახეღებდა თითოეუღს საზოგადოებაში. შემოწიჰუღი სიმინდი გახვდა 261 ოჯახს. ასე ჰომ თითოეუღ კომღს ეჰგო საშუაღო ჰიცხვით ექვსს ფუთზეღ ცოტა ნაკღებ. ხაღხი სამაჰთღიანაღ ემაღღიეჰებოდა ყვეღგან თ. თათაჰყანს ზემოხსენებუღ დახმაჰებისათვის. ჰოგოჰც ნათქვამია ზემოდ, სვანების სასაჰგებღოდ 14 ივღისამდე შეგჰოვიღი იყო*

1. იგულისხმება ლეჩხუმის სოფელი.

ხუთასი მანეთი. ფუღების შეგჩოვება კიდევ აჩ შეწყვეტიღა. იმედია, ფუღის ჯამი აქამდე იმატებდა. ეს ფუღი დღეს ქუთაისის მაზჩის უფჩოსის ბ. სოკოღსკის ხეღშია. ცხადია, იგი თავის ღჩოზე გაჩდაეცემა თ. დადიშკეღიანს სვანების დასაჩიგებღად. თ.“[1]

1910 წლის იანვრის დასაწყისში თათარყანი გარდაიცვალა. იმავე დღეებში დატრიალდა მეორე ტრაგედიაც: ძმის გასვენებისა და ეცერში წასვლის სამზადისში მყოფ ალექსანდრეს (ციოყს) (1862-1910 წწ.) მუხანათურად დაესხნენ თავს ქუთაისში და მოკლეს. ალექსანდრე იმ დროისათვის ბაღდათის სატყეოს მმართველი იყო და ცოლ-შვილი ქუთაისში ჰყავდა.

თათარყანი დაკრძალულია ეცერის სოფელ ფხუტრერის მთავარანგელოზების ეკლესიაში, სადაც არის მისი მშობლების უკანსკნელი განსასვენებელიც.

ცნობილია, რომ თათარყან დადეშქელიანის გარდაცვალების ინფორმაცია გავრცელდა მთელ საქართველოში. ტფილისსა და ქუთაისში ჩაატარეს მისი სულის მოსახსენებელი პანაშვიდები. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1919 წლის 4 მარტის სხდომაზე „კრებამ ზეზე ადგომით პატივი სცა საზოგადოების წევრთა თავად თათარხან დადიშკელიანისა და მარიამ დემურიას ხსოვნას“[2].

თათარყანს შთამომავლობა არ დარჩენია. დადეშქელიანთა ამ შტოს სიცოცხლე გრძელდება საფრანგეთში, სადაც ცხოვრობს და მოღვაწეობს თათარყანის ძმის შთამომავალი, ცნობილი ხელოვანი ნიკოლა დადეშქელიანი.

თავადმა თათარყანმა და მისმა ძმებმა არაერთი სიძველე შესწირეს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. 1909 წელს თათრყანმა ხის უნიკალური ნივთი, სარიტუალო პურის ტვიფარი - „დასტაგი“ შესწირა, ხოლო თათარყანის გარდაცვალების შემდეგ მისმა ძმამ ოთარმა საზოგადოებას გამოუგზავნა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნივთი და ხელნაწერი: „*ა).* შვიდი რუსული წიგნი, *ბ).* ორი რვეული „მოკლე განხილვა საქართველოს მხედრობისა“, *გ).* ისტორიული განხილვა სიტყვებისა არმენისა, ჰაიასტანისა და სომხეთისა. *დ).* ვახტანგის სამართალი *(ხელნაწერი). ე).* ალბომი ქართულ და რუსულ ლექსებისა. *ვ).* სხვა და სხვა შენიშვნები და ნაწერე-

1. თ. „სვანეთი. 22 ნოემბერი“ , - გაზ. „ივერია“, ნომ. 268, კვირა, 18 დეკემბერი, 1894. გვ., 2-3.

2. ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, ტომი III, 1913-1914 წ.

ბი თათარხან დადიშკელიანისა. ზ). საკითხავი სახარებისა. თ). საბა ორბელიანის ლექსიკონი გადაწერილი 1775 წელს. ი). ხელნაწერი გრაგნილი ავგაროზი. გრაგნილი „ჟამის წირვა“. სხვადასხვა ნაწერების ნაწყვეტები. რკინის პატარა თოხები რკინის პატარა ცული. სპილენძის პატარა ცული. ქვის კვირისტავი. რკინის წერაქვების ნატეხები. ბრინჯაოს ცული. ვერცხლის ჩაფრასტი (სვანური). ხანჯლის ტარი. სამი ქართული ფული (ერთი ვერცხლისა)“ [1].

სამეცნიერო ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, განსაკუთრებით ფასეულია თათარყანის ორი გამოქვეყნებული ნაშრომი, თუმცა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია მისი სხვა ხელნაწერებიც.

თათარყან დადეშქელიანის გამოცემულ ნაშრომთაგან აღსანიშნავია ისტორიული ნარკვევი, რომელიც ეხება საქართველოს სამხედრო ისტორიას[2]. ამ ნაშრომს მუდამ იყენებენ და მის მოსაზრებებს იზიარებენ ქართული მხედრობის ისტორიით დაინტერესებული მეცნიერები.

ეთნოგრაფიული კუთხით კი დიდად ფასეულია თათარყანის ბოლო ნაშრომი „შენიშვნა შესახებ სიტყვისა „დასტაგისა“. რედაქციის მიერ ნაშრომს წინ დართული შესავალი გვამცნობს, რომ სტატია თათარყანს გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, 1909 წელს გამოუგზავნია ექვთიმე თაყაიშვილისათვის, მეტად მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ არტეფაქტთან - სარიტუალო პურების საბეჭდავთან ერთად. ნაშრომი გამოქვეყნდა თათარყანის გარდაცვალების შემდეგ 1913 წელს[3]. თათარყან დადეშქელიანის ამ ნაშრომის მნიშვნელობა ქართული ეთნოგრაფიისათვის ძალზედ დიდია, რაც ჩემს ერთ სამეცნიერო პუბლიკაციაშიცაა ასახული [4].

თათარყანის აქ წარმოდგენილი ორი ნაშრომი წიგნად მომზადდა და გამოიცა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით. წიგნში შეტანილი ნაშრომები

1. ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტომი II, ტფილისი, 1913.

2. თათარყან დადეშქელიანი, მოკლე განხილვა საქართველოს მხედრობის, 1089-1122 წ.წ. – გაზეთი ,,ივერია“, 1883 წ., N 10.

3. თათარყან დადეშქელიანი, შენიშვნა შესახებ სიტყვისა „დასტაგისა“, – კრ., ძველი საქართველო, ტ. II, ტფ., 1913.

4. ამ სტატიისა და ნივთის მეცნიერული ანალიზი იხ. სტატიაში – რ. გუჯეჯიანი, ერთი ეთნოგრაფიული ნივთის შესახებ (დასტაგი-დაგი-ლადგი), – კრ., ეთნოლოგიური ძიებანი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, III, თბ., 2007. გვ. 322-334.

დიდი ხნის წინაა დაბეჭდილი ქართულ პერიოდიულ გამოცემებში, წარმოადგენს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას და მათი ერთ წიგნად გამოცემა ფრიად სასიხარულო ფაქტია საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ორივე ნაშრომი უცვლელადაა გადმოტანილი.

მომავლისათვის იგეგმება თათარყან დადეშქელიანის ხელნაწერი ფონდის დამუშავება და გამოსაცემად მომზადება.

მოკლე განხილვა საქართველოს მხედრობისა 1089-1222 წლამდე[1]

მეთერთმეტე საუკუნის უკანასკნელ ხანებში, ესე იგი იმ დროს, როცა მოკვდა სულტანი მელიქ შაჰი, მფლობელი სპარსეთისა, ასურეთისა და მისირიისა[2] და, როცა გამოვიდნენ ფრანგნი, ადიდეს იერუსალიმი და ანტიოქია, საქართველოს სამეფო ტახტი დაიპყრა დავით აღმაშენებელმა. - მან შეავსო, გაავრცელა და გააწყო ივერიის სახელმწიფო, რომლის საზღვარნი იყვნენ: ჩრდილოეთისაკენ - დიდი კავკასიის მთები, სამხრეთისაკენ - არაქსის მდინარე და მტკვრის ბოლო. დასავლეთისაკენ - შავი ზღვა ნიკოფსიდან[3] ვიდრე ჭოროხამდე და აღმოსავლეთისაკენ - გურგენის (კასპიის) ზღვა დარუბანდიდან[4] მტკვრის ბოლომდე.

დავით აღმაშენებლის შემდეგ მეფეთა დიმიტრი I-მა, გიორგი III და თამარმა, (1125-1212) განაგრძეს წესი და რიგი თავიანთი დიდებული წინაპრისა. ამათ მეფობის დროს საქართველომ არა თუ განისვენა მტერის განუწყვეტელ თავს დასხმისა და აოხრებისაგან, არამედ თვით პირ-იქით აწუხებდა სპარსელთა და ასურელთა. - თამარის მეფობის დროს, საქართველოს არა ერთხელ გაულაშქრია სპარსეთისაკენ თავრიზამდე და ასურეთისაკენ შორს გასცილებია ტრაპეზონსა და არზრუმსა.

ამ სახელოვანს დროს საქართველოისას დაწყობილება სახელმწიფოისა ეშესაბამებოდა ფეოდალურ ცხოვრებასა შუა-საუკუნოებისასა ევროპაში და ლაშქრობისა წესი მოქმედებდა იმ სამხედრო ხელოვნების[5] მოთხოვნილებითა, რომელიც წინა საუკუნეებში შეითვისეს ქართველბმან ბერძენთაგან. საკუთარი საქართველოისა სამეფო, ე.ი. ლისთ-იმერეთი, ზემო და ქვემო ქართლი და კახეთი, განყოფილი იყო რამდენსამე საერისთავოდ: დასავლეთისაკენ იყვნენ საერისთავონი ცხუმი ანუ აბხაზეთისა, ოდიშისა ანუ სამეგრელოისა, სვანეთისა, თავკვერ[6]-რაჭისა, აწინდელ იმერეთისა, გურიისა; ზემო ქართლში - სა-

1. „ივერია“ (საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი), 1883 წ., №10, (67-99 გვ.)

2. მისირი - ეგვიპტე.

3. ნიკოფსი - ციხე-ქალაქი სუხუმის დასავლეთისაკენ.

4. დარუბანდი - დერბენტი.

5. სამხედრო ხელოვნება - Военное искуство.

6. თავკვერი - ლეჩხუმი

მცხისა, ჯავახეთისა, წუნაგოისა[1] და კლარჯეთისა[2]; მას გარდა საერისთავონი შიდა-ქართლისა; ალგეთის, ხრამის და დებედის პირსა - ხუნანისა და სამშვილდოისა; კახეთსა და ჰერეთში (ქვემო კახეთი) იყვნენ ხუთი საერისთავონი; ხოლო ომით დაპყრობილნი ქვეყნები სომხებისა არაქსის მარცხენა პირზედა და მოსლემინთა - მტკვრის ბოლო ნაპირზედ მორჩილობდენ ზოგან თავის მთავრებსა, ზოგან ქართველთ-დიდებულებს, რომელთაც თვითონ საქართველოს მეფე ჰნიშნავდა[3].

ერისთავნი თავის საერისთაოს განაგებდნენ, ვითარცა მთავარნი, მაგრამ ექვემდებარებოდენ მეფესა. დამოკიდებულება მათი მეფეზე ცხადი იყო არა მარტო იმით, რომ მეფეს შეეძლო გადაეცა ერისთაობა სხვისთვისა - იმავე გვარისა იქნებოდა, თუ სხვა კაცი, რომელსაც ჰპოვებდა ღირსად განდიდებისა; არამედ მითაც, რომ ერსთავნი იმავე დროს იყვნენ მეფის სასახლის მოხელედაცა ე.ი. სახლთ-უხუცესად, მანდატურთ-უხუცესად, მეჯინიბეთ უხუცესად და სხვა-და სხვა... ყოველი საერისთავო იყო ნაწილი ქვეყნისა, რომელსაც განაგებდა ერისთავი, ვითარცა სამოქალაქო მმართველი და ამასთანავე საერისთავო იყო სამხედრო სამმართველოც და შეადგენდა სასპასპეტოს და თვით ერისთავი იყო სპასალარი საერისთავო სპისა. როგორც მიღებულია, რიცხვი მაშინდელის საქართველოის მცხოვრებთა მიაღწევდა ოთხ-მილლიონამდე. ხოლო თუ ვიანგარიშებთ, რომ ათას სულზედ 10 კაციდამ 15 მდე მეომარი ადვილად გამოვა, ოცი საერისთავო მაშინდელი გამოიყვანდა საომრად 40-50 ათასამდე მეომარსა. - ეს რიცხვი არ იქნება ნამეტური, თუ განვიხილავთ ლაშქრობას საქართველოისასა გიორგი III ანუ თამარის მეფობის დროს და წარმოგიდგენთ სივრცეს მაჰმადიან ქვეყნებისას, რომელნიც ეპყრათ ქართველთა მეფეთა და რომელთა შერჩენისათვის საჭირო იყო ბევრი და ერთგული სპა. - გარდა დაძახილის ჯარისა, რომელსაც მოსცემდა სამშობლოსა ოცი საერისთავო, იმ სახელოვან დროის მეფეებს ჰყვანდათ სამუდამო სპაცა ე.ი. ლაშქარი როქითა[4]. ეს მუდმივი სპა

1. წუნაგო - აწინდელ არდაგანოს ოლქაში იყო.

2. ჭოროხის პირზე.

3. მაგალითებრ, დავით აღმაშენებელმა მმართველობა შირვანისა ჩააბარა სიმეონ ჭყონდიდსა სომხების ქალაქი ანი გიორგი მე-III ჩამოართვა ვარდან დადიანსა და ეს მდიდარი ქალაქი ჯერ მისცა იოანე ორბელსა და მერე გარდასცა სარქის მხარგრძელსა.

4. როქა - ჯამაგირი (ბერძნულით).

გააჩინა დავით აღმაშენებელმა. ხოლო როდესაც შენიშნა რომ საქართველოს სპანი მარტოდ ვერ აუვიდოდენ მისგან აღნიშნული სამხედრო განზრახვათა, თვითონვე გაემგზავრა ოვსთა იქით მცხოვრებთა ყივჩაღთა მიმართ და გარდმოიყვანა საქართველოში ორმოცი ათასი სული, დედა-წულითა მათითა.[1] - ამ სახით დავით აღმაშენებელმა თავ-და-პირველად შეადგინა მუდმივი როქის სპა, რომელშიც იყვნენ: 15 000 ყივჩაყნი, 500 ალანი, 100 ფრანგი და 5 000 სანდონი და გამოცდილნი სიმხნითა ქართველნი; ყველა ესენი იყვნენ გაწყობილნი ცხენითა და საჭურველითა და დას-დასათ დაყოფილნი. როქის სპამ შემდეგ მიაღწია 60 ათას კაცამდე.

უადგილო არ იქნება შევნიშნოთ აქ, რომ მთიულნი და ჩრდილოეთ კავკასიელნი ისე ხალისიანად მიისწრაფოდენ საქართველოს ლაშქარში ამ სახელოვან მეფეების დროს, როგორც ბალკანელი სლოვანები ბიზანტიის მხედრობაში.

ყივჩაყთა და ოვსთა ყოფნა საქართველოს ლაშქარში, შენიშნულია არა მხოლოდ აღმაშენებლის დროს, რომელმანც იცოდა მათი მიმხრობა, არამედ გიორგი მეფისა და თამარის დროსაც. მაგ. 1203 წ. იგინი იყვნენ სხვათა შორის შამქორის ომში, სადაც ლაშქარმა თამარ მეფისამ დაამარცხა სპარსელები.

სამსახური როქი-სპისა, რომლის უფროსსაც უწოდებდენ მსახურთ ანუ მონათ-უხუცესსა იყო შემდეგი: მეციხოვნობა ციხე-ქალაქებში, რომელთაც ქვეყნისათვის დიდი სიმაგრის მნიშვნელობა ჰქონდათ; მეფესთან ქეშიკად ყოფნა და განსაკუთრებულს ადგილს დგომა ომში. ამ უკანასაკნელს მოვალეობას როქის სპისას ქვემორედაც განვმარტავთ.

აშკარაა, დიდი გაძღოლა უნდოდა მუდმივს ლაშქარს 60 000 კაცისას, რომელსაც ჯამაგირიც უნდა მისცემოდა, რადგანაც თვითონ სახელი როქის სპა ჯამაგირზედ დაყენებულს ლაშქარსა ჰქვიან. სჩანს იმ დროთა მეფეებს დიდი შეძლება და სიმდიდრე უნდა ჰქონოდათ.

და ეს შეიძლება რომ ჰქონიათ, ამაზედ ეჭვი არ უნდა იყოს, თუ წარმოვიდგენთ შემდგომ ვითარებასა: მკვიდრნი ქართველნი, როგორც მოგახსენეთ, მიაღწევდნენ ოთხ-მილლიონამდე; ამდენივე, თუ არა მეტი, იყვნენ სომხები და მაჰმადიანნი, რომელნიც სიმდიდრით და მამულების სიდიდით ქართველებზედ მეტნი იყვნენ; მთელი აღმოსავლეთს კერძო სამხრეთის კავკასიისა, სადაც დიდი და მდიდარი ქალაქები იყო, როგორც

1. Brosset. – Histoire de la georg. Par. I page 363.

ანისი[1], უზიდვიდა ხარაჯას მაშინდელ მეფეებსა. მეორე წყარო შემოსავალისა იყო ნაალაფევი[2]. - ქართლის მემატიანენი და უცხონიცა მოწმობენ, რომ სელჯუქნი[3], როდესაც გაილაშქრებ-დენ, თან დაატარებდენ ყოველსავე თავის ქონებას: ოქროსა და ვერცხლსა, ინდოეთის ფარჩასა და თვალ-მარგალიტსა, ძვირფასსა არაბულსა ცხენებსა და საომარ იარაღს; მათზედ გამარჯვებულნი ალაფით აივსებოდნენ ხოლმე. ამ ნაირი შე-მოსავალი არ მოჰკლებიათ ქართველებსა დავითის, დიმიტ-რის, გიორგისა და თამარის მეფობაში, რადგან ამათ დროს განუწყვეტელი ომები იყო და ყოველთვის გამარჯვება მათ რჩებოდათ. შამქორის (1203 წ.) და ბოლოსტიკის ომში (1204 წ.) იმდენი ალაფით აღივსნენ ყოველნი ქართლის მეომარნი, რომ „ველნი გარემოს თბილისისანი ვეღარა იტევდა კაცსა, ცხენსა, ჯორსა და აქლემსა და ეს-ოდენ მოსაწყინელცა იყო სიმრავლე ტყვეთა, ვიდრემდის შეიყვანიან ქალაქად, ერთად კუტლად[4] ფუკირად[5] გაყიდიან და სეფენი[6] დიდებულთანი და აზნაურთა-ნი აღივსნენ ჭურჭელთა მრავალსახეთა, თვალთა პატიოსანთა, ნაქსოვთა ფერად-ფერადთა; ყოველი საგანძური ოქროთა ვი-თარცა მიწათა, ჰინდოურითა ქვითა და პატიოსანთა მარგა-ლიტთა მიერ ურიცხვთა და ამისი მოწამე თვით იგი ღმერთი არს...“[7] დავით აღმაშენებელი თავის ანდერძში იხსენიებს ზედა და ქვედა სახელმწიფო სალაროებსა; მისი ცხოვრების აღმწე-რი ამბობს, რომ „თვისსა მოძღვარსა იოანეს მისცა ოდესმე დრაჰკანი (ოქროს-ფული) ვითარ ოცდაოთხი ათასი, რათა გა-ნუყოს გლახაკთა, და ესეც მცირედი მრავლისაგან თქუმად შე-უძლებელია“.[8] ყოველივე ეს და იგიც რომ მრავალი ეკლესიები და ტაძრები უშენებიათ, უხვად უგზავნიათ საბერძნეთისა და პალესტინის ეკკლესიებისათვის შესაწირვად მრავალი განძი,

1. „ქართლის ცხოვრება“, გვ. 266: „...ქალაქად ანისად, რომელსა შინა მოდღესა-მდე არს ათ=ას და ერთი ეკკლესია“...

2. ალაფი- ლაშქრობაში ნაშოვნი.

3. სელჯუქნი - თყრქთა ნათესავი ერია. ამატ დაიპყრეს წინა მხარი აზიისა მე-IX, X, XI საუკუნეებში.

4. კუტალი - კოვზი.

5. ფუკა - ხის ფინჯანი.

6. სეფე - პალატი.

7. „ქართლის ცხოვრება“, გვ. 308-309.

8. იქ. - გვ. 257.

გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ შემოსავალი იმ დროინდელ მეფეებისა საკმარისი იქნებოდა 60 000 როქის სპის გასაძღოლად და დასაკმაყოფილებლად.

საომარნი საჭურველნი ქართველთა სპათა აქენდათ: მშვილდ-ისარნი, ისარი ბოძალი[1] დიდთა ნადირთათვის, ქეიბური[2], შუბი, ლახტი, ჩუგლუგი[3], გურზი, ხმალი, სატევარი და ფარი, ჩაბალახი, მუზარადი, ჯავშანი და საბარკულნი. სვარასანში ნაკეთი იარაღი იმ დროისა ყოველგან აღმოსავლეთში განთქმული იყო[4]. მთიული ქართველები: სუანი, აფხაზი, რაჭველი და ფხოელი[5] უფრო შეჭურვილნი იყვნენ შვილდისარითა, ფარითა, სატევარითა და ჩაბალახ-ჯავშანითა; ბარში მცხოვრებნი, როგორც უფრო ცხენოსანნი - შუბითა, ლახტითა, გურზითა, მუზარადითა და ჯავშან-საბარკულითა. ძნელია იფიქროს კაცმა, რომ მაშნდელი საქართველოს სპანი საზოგადოდ ერთგვარად შეჭურვილნი ყოფილიყვნენ, რადგანაც მხოლოდ გაჭირვების დროს მოწოდებულ იქნებოდენ ხოლმე საომრად, როგორც ეხლანდელი მილიციები. ხოლო შესაძლებელია რომ როქის-სპა ყოფილიყო ერთ-გვარად დაიარაღებული, რადგანაც მეფისაგან ყოვლისფრით განწყობილს, კარგად გაწვრთნილს მუდმივს ჯარს შადგენდა და პირდაპირ გამგებელად თვით მეფე ჰყავდა. დავით აღმაშენებლის ცხოვრების აღმწერი იტყვის: „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინებანი ღვთის განმარისხებელი, და ყოველი უწესოება მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა, და ურიცხვსა-მას შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის“, და „მცირედ-მცირედ ბრძოლითა და სწავლითა, გონიერად და ღონიერად წინა-ძღომითა, და მრავალთა ძლევითა მიერ მოგვარებითა არა განეწვართნეს სპანი თვისნი, და განეკადნიერნეს წყობათა მიერ მხნეთა, ქებითა და ნიჭითა, ხოლო ჯაბანთა სადე-

1. ბოძალი, პრტყელ- წვერიანი ისარი.

2. ქეიბური - მომცრო სანადირო ისარი.

3. ჩუგლუგი - მცირე წერაქვი.

4. ვეფხისტყაოსანი, გვ. 52 და 202.
„აღლუმი ვნახე მეფეთა ლაშქართა მოკაზმულობა,
სიჩაუქე და სიკეთ, კეკლუცად დარაზმულობა,
და ტაიჭთა მათთა სიკეთე, აბჯრისა ხვარზმულობა.“
„კაცი ოტხმოცი ათასი, ყველაი დაკაზმულია,
კაცსა და ცხენსა ემოსა, აბჯარი ხვარაზმულია“.

5. ფხოელს უწოდებენ ძველად ფშავ-ხევსურს. გეოგრაფიული აღწერა საქართველოისა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ.

დოთა ჩაცმითა და კიცხვით ძაგებითა, არამც ეღონნა, ვიდრე-მდის სპათა შორის მისთა, ყოვლად არა იპოვებოდა ჯაბნად ზრახული“. ამ სიტყვებიდგან ჰსჩანს, რომ დავით აღმაშნებელ-სა დიდი ყურადღება და ზედა-მხედველობა ჰქონია თავის სპა-თა ზედა და უმეცადნია განეწურთვნა იგინი, ვითარ შეშვენის გამართულსა[1] ლაშქარსა.

იმ დროს საქართველოს სიმაგრეს შეადგენდნენ რამდენიმე ციხე-ქალაქნი, რომელთა ზღუდენი სიმაღლითა მიაღწევდნენ ექვსიდამ 10 ადლამდე, კოშკნი -16 ადლიდამ 28-მდე; კოშკებს უფრო ზღუდის კუთხეებში აგებდენ; კოშკში იყვნენ მშვილდმო-ისარნი, და დადგამდენ ფილაკოვანსა[2]. ციხისა დაცვას და აღებასა ქართველები განაგებდენ ბერძენთა მიბაძვითა, და ხმარობდენ ნაღმსა[3], ტარონსა[4] და ფილაკოვანსა. სიკეთე და ხელოვნება არ აკლდათ საომარ-მაშინებსა, რომელსაცა ხმა-რობდენ ქართველები. – 1042 წ. მცხოვრებნი ახლანდელის ავლაბარისა გადუდგნენ მეფე ბაგრატსა, ჩატეხეს ხიდები მე-ტეხის ძირას გადებულნი მტკვარზედ. ბაგრატი თავის ჯარითა დარჩა მტკვრის მარჯვნივ ნაპირას და კოშკებიდან დაუშინა ფილაკოვანნი, რომელთა მოქმედება ისეთი ძლიერი იყო 150-200 ადლზედ, რომ განდგომილნი ორ დღეში დამორჩილდნენ. ციხენი, რომელთაც იმ დროს უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქო-ნდათ, სამეფოს სამხრეთის მხარზედ იყვნენ. რადგანაც და-სავლეთის კერძო მაშინდელი საქართველოისა დაცული იყო შავი-ზღვით, აღმოსავლეთისა - გურგენის ზღვით და ჩრდი-ლოეთისა კერძოდ ხომ მთელის კავკასიის შესავალ გასავალი გზები ხელთ ეპყრათ - ნიკოფსიიდამ დარუბანდამდე, შთებო-და მხოლოდ სამხრეთის კერძო დასაცველი. ამ კერძოსაკენ იყვნენ ციხენი: თორთუმი, ოლთისი, არტანუჯი და თუხარისი კლარჯეთში; არტანისი (არდაგანი), ახალ-ქალაქი, თმოგვი, ახალციხე, ოძრახო სამცხესა და ჯავახეთში. ამ უკანასკნელ ci-ხეებსა ჰქონდათ განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგანაც შეჰკვრიდენ შემოსავალ გზებსა და მათ მფარველობისა ქვეს მოიყრიდენ თავს მეომარნი: დასავლეთიდამ - აბხაზ-იმერნი, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდამ, - ქართლ-კახნი და სამხრე-თ-დასავლეთიდამ, - მესხნი. - საქართველოისა სომხეთში, ე.ი.

1. გამართული ლაშქარი - регулярное войско.

2. ფილაკოვანი - ქვის სასროლი მაშინა (ბერძნულით).

3. ნაღმი - შეთხრილი შესავალი (подкопъ).

4. ტარონი - მაშინა იყო გალავნის მრღვეველი.

ალგეთისა, ხრამისა და დებედის ხეობებში იყვნენ რამდენიმე ციხენი: კლდე-კარი, დმანისი, სამშვილდე, აგარანი (ხუნანი), ლორი და სხვა და სხვ. მხოლოდ მათ არა ჰქონდათ დიდი მნიშვნელობა, რადგანაც მათ წინა სამხრეთისაკენ სომხების მამულები არაქსამდე დაპყრობილი ჰქონდათ ქართველ მეფეებსა და ციხე-ქალაქსა შინა[1] იდგენ მცველად ქართველნი სპანი.

თუმცა ძალიან გვსურდა გამოგვეძია, რა სიკეთისა და სადა და სად მიმავალი გზები იყო მაშინ და ეშესაბამოდენ თუ არა სამხედრო საჭიროებასა, მაგრამ საკმაო ცნობანი ვერ ვიპოვეთ ჩვენს მატიანეში. ხოლო უკეთუ სახეში მივიღებთ ზოგიერთ სიტყვათა დავით აღმაშენებლის ცხოვრების აღმწერისას[2] და სისწრაფეს, რა სისწრაფითაც ეს მეფე თავს უყრიდა ხოლმე ჯარს და იმერეთიდამ ალგეთსა, ხრამსა, დებედას, კახეთს უმალ გადად-გადმოდიოდა ჯარითა, ადვილად საფიქრებელია, რომ გზა იმერეთიდამ გადმომავალი ლიხის მთაზედ და მთელ ქართლზედ და შემდეგ აღმოსავლეთისაკენ, კარგი და თავის დანიშნულების შესაფერი ყოფილა. მართლა რომ ესე უნდა ყოფილიყო, რადგანაც იმოდენა ჯარი მოძრაობდა და თან გადაჰქონდ-გადმოჰქონდათ ბარგი-ბარხანა, სურსათი, ტარონი და ფილაქოვანი.

საერისთაოის სპის სპასალარი იყო თვითონ ერისთავი. რამდენიმე დასი და რაზმი შედგენდა სპასა. რაზმისა და დასისა უფროსი იყვნენ თავადის-შვილნი ანუ აზნაურნი. დასი და რაზმი ეშესაბამებოდა ახლანდელ როტასა და ბატალიონსა. სპანი სრულიად საქართველოისა შეადგენდენ ლაშქარსა, რომლის უმფროსიც იყო ამირ-სპასალარი. ამირ-სპასალარად იყო თვითონ დავით აღმაშენებელი, გიორგისა და თამარის მეფობის დროს კი იყო პირველად იოანე ორბელი, შემდეგ სარქის მხარგრძელი, მერე გამრეკელი და ზაქარია მხარგრძელი. ზაქარია მხარგრძელის თანა ამირ-სპასალარი საქართველოს არ ჰყოლია. მის ამირ-სპასალარობის დროს გაიმარჯვეს ქართველებმა ორ ჩინებულ ომში: 1203 წ. შამქორს, სადაც 90-ათასმა თამარ მეფის მხედარმა დაამარცხა მაჰმადიანების ჯარი, რომელიც შეკრიბა ხალიფის დროშის სახელით შუა-მდინარეთიდამ ინდოეთის სამზღვრამდე და 1204 წ. - ბოლოსტიკის ომში, სადაც ქართველებმა გაიმარჯვეს ასურეთის სულტან ნუქარდინ-

1. ანისში და დოვინში, რომელნიც დაიპყრეს დავით აღმაშენებელმა და გიორგი III.

2. „რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა, რაოდენნი გზანი საწყინოდ სავალნი, ქვა ფენილ ყვნა“.

ზედ, რომელსაც ჰყვანდა ამ ომში ურიცხვი მეომარი[1].

დასთა და რაზმთა საომარი წყობილება იყო შემდეგი: წინ დადგებოდა ხოლმე უფროსი, მას უკან - რამდენიმე აღმორჩეულნი სიმნითა მეომარნი და მერე სხვანიცა. ამ ნაირს დაწყობასა უწოდებენ სოლებრივს დარაზმულობად. რამდენიმე სოლებრივ დაწყობილნი რაზმნი შეადგენდენ საომარ წყობას სპისას. სატაკტიკო (საომარი) ნაკლულოვანება სოლებრივი დარაზმულობისა მდგომარეობს ამაში, რომ უმთავრესი მნიშვნელობა მხოლოდ წინა წვერსა აქვს: თუ რაზმის უფროსი არ არის ღირსი თავადობისა (ესე ხშირად მოხდება დიდ ლაშქარში), ანუ პირველადვე თუ დაიხოცნენ წინა წვერსა მდგომნი მეომარნი, მაშინ სხვანი მეომარნი რაზმისა ვერ განაგრძობენ ომსა და მტერი ადვილად გაიმარჯვებს მათზედა. სხვა ნაკლულოვანებაც აქვს სოლებრივ დარაზმულობასა; მაგრამ ქართველნი იმ სახელოვან დროისა ამ-ნაირს საომარს წყობას ხმარობდენ მარტო დასსა და რაზმში და არა მთელ ლაშქარში, როგორცა სხვანი მაშრიყელნი. - მთელის ლაშქრის დარაზმულობა კი ჩვენში სხვა გვარი იყო ე.ი. ბიზანტიური წესისა, ანუ უკეთ ვსთქვათ რომაულისა, რომელსაც ეძახიან ესრედ წოდებულს კლასიკურ მწკრივებრივს ტაკტიკას. ამ წესით რამდენიმე ლეგიონი დაეწყობოდა ხოლმე ერთს ანუ ორმწკრივად. ყოველი ლეგიონი შეიცავდა კოგორტებს და იყო დაწყობილი ჭანდრაკის წესით. ორთავ მწკრივის ლეგიონთა რიცხვი იყო თანასწორი. პირველი მწკრივი შესდგებოდა ორის, სამის ან ოთხის ლეგიონისაგან ჯარის რაოდენობის მიხედვითა და იერიშით მიდიოდა, ხოლო უკეთუ ეს მწკრივი აღემატებოდა სიგრძით მოწინააღმდეგის რაზმს, გაშლიდა ფრთებს და მოხვევდა ორთავ მხრით მტერსა. მეორე მწკრივი ქომაგობდა პირველს. ამ გვარს ჯარის წყობილებას თავისი ნაკ-ლულევანებაცა აქვს: პირველად, ამისათვის საჭიროა, რომ თავისუფლად იმოქმედოს ლაშქარმა და ვრცელი ადგილი ედოს წინ გაშლილი. მეორედ, ორივე მწკრივი ერთსა და იმავე დროს იბრძვიან, ამის გამო სხვა-და-სხვა შემთხვევა, როგორც მაგალითად დასვენებული სპის უეცარი თავს დასხმა, ანუ დამარცხება ერთ-ერთის მწკრივის ფრთად გაშლილის წვერისა ცუდათ მოქმედებს ჯარზედ და ხელიდგან აცლის გამარჯვებას. რომაელთ მწკრივებრივი ტაკტიკა ქართველებმა ბიზანტიელთაგან გადმოიღეს, მაგრამ შესამჩნევად შესცვალეს. ქართველების საზოგადო ლაშქართ დარაზმულობა შეს-

1. „ქართ. ცხოვ.“ გვ. 318 და 319.

დგებოდა სამის მწკრივისაგან.

პირველ მწკირვს შადგენდა მოწინავე ანუ უკედ ვსთქვათ წინამბრძოლი ჯარი; მეორეს - თავი და თავი ანუ ყოლბი[1] ჯარი და მესამეს - მაშველი ჯარი. თუ რომ ომი მოხდებოდა ჯარის გზად ყოფნის დროს მტერთან უეცრად შჯახებისაგამო, წინა - მბრძოლი ჯარი გაიშლებოდა და დაიწყობოდა ომს თავი-და-თავი ჯარის თვალ-წინ. უკეთუ ომი წინადვე მოსაზრებული იყო და დაიწყებოდა მთელის ლაშქრის ბანაკის ახლოს, მაშინ წინა-მბრძოლი ჯარი მაინც უეჭველად პირველ-მიმსლველ-მცემელ მწკრივს შეადგენდა და ყველაზედ უწინარეს დაიწყებდა ბრძოლას. წინა-მბრძოლი ჯარი ყოველთვის და უცვლელად ერთგვარად შესდგებოდა. წინამბრძოლ და პირველ მიმსვლელ მცემელ ჯარად იყვნენ მესხნი, ანუ ქართველნი შემდეგ საერისთაოთა: სამცხისა, ჯავახეთისა, წუნაგოისა და კლარჯეთისა, რომელნიც შეიცავდნენ მტკვრის სათავესა და ჭოროხის ხეობასა. წინა მბრძოლ ჯარში შერიცხვა სხვა მეომართა აღძრავდა დრტვინვას მესხებისას, უკმაყოფილებას და თვით ურჩობასაც და მხოლოდ ხან-და-ხან წინამბრძოლი ჯარის გასაძლიერებლად მიუმატებდნენ ხოლმე იმ სპას, რომელიც პირ-და-პირ ექვემდებარებოდა ამირ-სპასალარს, როდესაც ეს უკანასკნელი წინ იყო. ხოლოდ ეს მოხდებოდა ხოლმე მაშინ, როცა მეფე იმყოფებოდა დანარჩენ ჯართან.

მეორე მწკირვს შეადგენდა თავი-და-თავი ჯარი, რომელსაც მემარჯვენედ აბხაზ-იმერეთის ჯარი ედგა და მემარცხენედ ამერნი.[2] ეს წესიც დაურღვეველი იყო, ესე იგი, აბხაზნი არ დადგებოდენ მემარცხენედ და საზოგადოთ ადგილის შეცვლა საომარ დარაზმულობაში აღკრძალული იყო. მეორე მწკირივი ხუთჯერ და ექვს ჯერ აღემატებოდა პირველ მწკირვსა და წარმოადგენდა პირ-და-პირ ქომაგს უკანსაკნელისას.

მუდმივი ჯარი, ანუ როქის-სპა და ქართლის ჯარის ნაწილი სეფე დროშითურთ, რომელსაც მეფე ჰყავდა მოთავედ, წარმოადგენდა მესამე მაშველ მწკირვს, და დაეწყობოდა მეორე მწკრივადამ ისეთს მანძილზედ, რომ შესძლებიყო თვალ-ყური ედევნა პირველი ორი მწკირივის ბრძოლის მსვლელობისათვის.

---

1. ყოლბი ჯარი იმ ჯარსა ჰქვიან, რომელიც წინა-ბრძოლისა და მაშველი ჯარის შუა სდგას.

2. „ქართლის-ცხოვრებაშ“ ბევრგან შევხვდებით: „განაწყეს რაზმი წესისამებრ, ვითარცა განჩენილ არს თემთა და თემთა“. ანუ „იყვნენ ერთ-კერძო - აფხაზნი და ერთ კერძო - ამერნი“. გვ. 306 და 321.

ამ სახით, უკეთუ მოვიგონებთ წინათ ჩვენ მიერ ნათქვამს, რომ მაშინდელ საქართველოს სამეფოს ზურგით მთავარი კავკასიის ქედი ჰქონდა, წინ სამხრეთის სამზღვარი და გავიხსენებთ იმ ადგილს, რომელიც ეჭირა სხვა-და-სხვა სპას პირველის ორის საომარ მწკრივისას, ცხადი იქნება, რომ ქართველთ საომარი დარაზმულობა ეშესაბამებოდა საქართველოს ტომთ თემად-და-თემად განაწილებას. აბხაზ-იმერეთის საერისთაონი იმყოფებოდნენ სამეფოს დასავლეთ მხარეზედ, ანუ მარჯვენით კერძო. მათი ჯარიც იჭერდა მარჯვენა კერძოს მეორე მწკრივისას. ქართლი, კახეთი და საქართველოს სომხითი იყვნენ ლიხის მთის აღმოსავლეთით და მათი ჯარიც იჭერდა იმავე მწკრივის მხარეს მარცხენით კერძო. საერისთაონი მტკვრის სათავისა და ჭოროხის მდინარისა, როგორც წინ მდებარენი, თავის ჯარს აყენებდნენ პირველ-მიმსვლელ-მცემელ მწკრივად. ნაწილი ქართლის ჯარისა, როგორც უხუცესთ უხუცესის საქართველოს თემისა იდგა სეფე-დროშის ქვეშ როქის სპის გვერდით. სხვა-და-სხვა თემის ჯართა ადგილი სხვაფრივაც განიმარტება ე.ი. ისტორიულად. ის დრო საქართველოს ბრწყინვალებისა, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, შექმნეს აბხაზ-იმერეთის ბაგრატიონებმა. მათ დაიწყეს საქართველოს გაერთიანება დასავლეთით. პირველად ბაგრატ IV შეუერთა აბხაზ-იმერეთის სამეფოს ქართლი და მერე დავით აღმაშენებელმა - კახეთი და თბილისი სომხეთითურთ, რომელსაც მფლობდენ თბილისთან ერთად დროებითად არაბნი, და უწოდებდენ მას თბილისის საამიროს. იმის და მიხედვით, როგორც შეიერთებდა აბხაზ-იმერეთის სამეფო საქართველოს სხვა-და-სხვა თემთ, ისე სპა მათგან გამოყვანილი იჭერდა ადგილს მეორე საომარ მწკრივისას მარჯვნიდან მარცხნივ ზედ-მიყოლებით.

ჩვენ მიერ აღწერილ საომარ დარაზმულობას აქვს თავისი ტაქტიკური ნაკლულევანები, რომელთ რიცხვში უნდა მოვიხსენიოთ სხვათა-შორის მუდამ ერთი და იგივე შედგენილობა წინა მებრძოლი ჯარისა და პირველი საომარი მწკრივისა, რომელსაც, ხანგრძლივის ლაშქრობის დროს, თუ მაგიერობა არ გაუწია ნებიერად მიმდევმან სპამან, იგი იღლება, ირღვევა და ამისათვის ვერ სძლებს თავის მოვალეობის შესრულებას-მუდამ დარაჯად დგომას, მზად ყოფნას შებრძოლებისათვის, გარემოებათა მიხედვით, და სხვ. მაგრამ ქართველთ დარაზმულობას შესამჩნევი ღირსებანიც აქვს. პირველი და მთავარი

ღირსება ის არის, რომ იგი თავის დედა-აზრით ძალიან წააგავს თანამედროვე ევროპიულ ტაკტიკას, რომლის აუცილებელი მოთხოვნილებაა მაშველი ჯარი ჰყავდეს დასათრგუნვად და შესასუსტებლად ომის დროს უეცრივ მოვლენილ სხვა-და-სხვა შემთხვევათა; მეორე - ეგრე დაჩემებული ადგილი საომარ წყობაში ყოველის სპისა მიერ ლაშქრობის დროს ახალისებს და აქეზებს მეომართ ერთი - ერთმანეთის წინაშე და იძულებულ ჰყოფს მხნედ ბრძოლად, რომ ღირსეულად ატარონ სახელი თავიანთ მამა-პაპათა, რომელთაც უკვე, იმავ ადგილებში უომნიათ და მოუხვეჭიათ სახელი ქება და დიდება.

ყოველივე ჩვენ მიერ თქმული საქართველოს სამხედრო წყობილებაზედ, მის საომარ აღკაზმა-დარაზმულობაზედ დარჩება დაუმტკიცებელი, ლიტონი სიტყვა იქნება, უკეთუ ჩვენ არ მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს.

რომ შეადგინოს კაცმა აზრი მასზედ, თუ რა სისწრაფით გადად-გადმოდიოდა ქართველთ ლაშქარი ერთი ადგილიდამ მეორეზედ, რა მდგომარეობაში იყო გზები, მიმავალი იმერეთიდან ქართლსა და სამცხეს, და დავით აღმაშენებლის არა მცირედს სამხედრო ნიჭიერებაზედ, საჭიროა განვიხილოთ საომარი მოქმედებანი მისნი 1122 წელს.

დავითის მუდმივი გამარჯვება, სწრაფად და მედგრად მტერზედ თავ-დასასხმელად მოვლინება მისი იმერეთიდან, იყო მიზეზი, რომ დავითმა ივნისს 1121 წ. სრულიად განსწმინდა სივრცე თბილისიდამ გურგენის ზღვამდინ თურქთა-სელჯუკთა ურდოთაგან. ის არ ერიდებოდა არც წყალ-დიდობას, არც ზამთრს და არც დათოვლილს გზებს. ისე რომ თურქნი გადარჩნენ მხოლოდ სამს ქალაქში; თბილისში, განჯაში და დმანისში. ამ ქალაქების მოსლემინობამ გაუგზავნა მოციქულნი სელჯუქთა სულთანს, რომელიც ბაღდადის ხალიფას სახელობით განაგებდა მთელს მოსლემანობას მაშინდელი აზიისას; მოციქულთა სთხოვეს მფარველობა და შემწეობა წინააღმდეგ „მთათა და[1] ტყეთა მეფისა“, როგორც იგინი ეძახდენ დავითსა. სულთანი გუმხურვალედ მოეკიდა საქმეს; მან უბრძანა თავის საუკეთესო სპასალარებს დებოიზს და ელგუზის აღემხდერნათ მთლად მუსულმანობა ალეპოდამ დაწყობილი სპარსეთის აღმოსავლეთ სამზღვრამდე და გალაშქრებულიყვნენ მათთვის საზიზღარ საქართველოს წინააღმდეგ. ეს ლაშქარი თავს იყრიდა ათი თვის განმავლობაში და მხოლოდ ზაფხულს 1122 წ. გადგა

1. Brosset, Hist. de la georg.

გზად ჩრდილოდ კერძო საქართველოს სამზღვრების. რაოდენობა ამ ლაშქრისა სულ ნაკლების ანგარიშით 200 000 ადიოდა. ეს რიცხვი გაზვიადებული არ იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ორი უძლიერესი მფლობელი, სპარსელი დებოიზი და ალპოელი ელგუზი წინამძღვრობდენ ლაშქრობას; რომ ჯვაროსანთა წინააღმდეგ მარტო სირიელ სულჯუკთ 100 000-ზე მეტი მეომარი გამოჰყავდათ. ამ გვარი ლაშქრის რაოდენობა მით უფრო დიდი იყო, რომ სელჯუკნი, როცა შორს ქვეყანაში მიდიოდენ საომრად, თან მიჰქონდათ, როგორც უკვე მოვიხსენეთ, ყოველივე თავისი მოძრავი ქონება, რომლისა მცველნი, მონანი და მხლებელნი და სხვა არა მეომართ სიმრავლე მათ ლაშქრის რაოდენობას მტრისათვის მეტათ დიდათ აჩენდა. ივნისის გასულს 1122 წელს ყველა ურდონი დებოიზისა და ელგუზისა გამოვიდნენ მდინარე არაქსს, და დაიჭირეს ეხლანდელი ერევნის გუბერნიის სამზღვრები. მეფე დავით ამ დროს იმერეთში იმყოფებოდა; მან იცოდა რომ მტერი ახლოს იყო, თავის მხრითც ემზადებოდა, მაგრამ არ ჩქარობდა კია. ოცი წლის ომების გამოცდილებით მან შეისწავლა თავისი მოწინააღმდეგე. არაქსიდან თრიალეთის ქედამდე ე.ი. ქართლის სამხრეთ სამზღვრამდე, 300 ვერსის მანძილზედ, სადაც სომხეთის მდიდარი ქალაქები, ანი, დოვინი და სხვანი იყვნენ, სელჯუკნი უნდა მისცემოდენ თავიანთ ჩვეულებრივ მოქმედებას მტრის ქვეყნის შესახებ.[1] იგინი, როცა ქვეყნის ასაკლებად მიდიოდენ, სულ მთლად მტრის ქვეყანას მოედებოდნენ; მერე დაყოფილნი ოთხ ტოლ-ტოლ ჯგუფად რომელსამე შუა გულ ადგილიდან აქეთ-იქით გაესეოდნენ ხოლმე. თვითოეული ამ ჯგუფდაგანი, მოშორდებოდა თუ არა შუაგულ ადგილას, იყოფოდა აგრეთვე ოთხ ტოლ ნაწილად და სხ. ამ სახით პირვანდელი ურდო, თან-და-თან უფრო-და-უფრო პატარა ნაწილებად დაყოფილი, სულ ბოლოს 2,000 ან 3,000 კაცისაგან შემდგარ მცირე რაზმებად გადაიქცეოდა და გაიფანტებოდა ხოლმე მთელს მხარეზედ. ესე გვარი წესი კარგია მტრის ქვეყნის სრულიად გაძარცვისა და დამხობისათვის; მაგრამ ტაკტიკურის მხრით არაფრად არ ვარგა.

უკეთუ შესაძლებელია ასცილდე პირვანდელ დიდ ლაშქარს, და დააცადო მას დაკნინება პატარ-პატარა ჯგუფებად, რასაკვირველია, ადვილია მისი ნაწილ-ნაწილ დამარცხება; ოღონდ ამ შემთხვევაშიაც საჭიროა მხნეობა და სწრაფი მოქმედება.

1. Brosset, Hist. de la georg.

დავით ლოდინით არასა ჰკარგავდა. სელჯუკნი ააოხრებდნენ მხოლოდ სასომხეთოს არაქსიდამ დაწყობილი თრიალეთამდე არაქსის მარცხნივ, რაც საქართველოს სამეფოს ნაწილს არ შეადენდა, საქართველოს სომხითს, რომელიც თბილისისა და დმანისითურთ ეკუთვნოდა თბილისის ამირს და სადაც დავითს არა ეპყრა რა, გარდა ახლად მის მიერ დაპყრობილის ორის ციხისა მდ. ხრამის შესართავთან, სახელად სამშვილიდასა და რუსთავისა. მართლაც 15 აგვისტომდე მოსლემინთა ურდომ მოაღწია თრიალეთის მთებამდე და მოაოხრა ყოველივე, რის მოოხრებაც კი შეეძლო. უფრო მოზრდილი მათი ურდონი დაეწყვნენ შემდეგ ადგილას: მარჯვენა ფრთა დაბანაკდა დიღმიდამ დაწყობილი დიდ-გორამდე დასავლეთისკენ, ასე რომ მარჯვნივ მტკვარი ჰქონდა, უკან თბილისი, ხოლო წინ თრიალეთის მთის აღმოსავლეთი კალთები დააწყდებოდა. მეორე ნაწილი მანგლისთან იყო და პირველისაგან განყოფდა ღრმა ხევები და მაღალი მთები 3-დგან 4-ათას ფუტ. ზღვის დონეზე უმაღლეს; და, მესამე დასი, დასასრულ, დალაგდა მდ. ხრამის სათავეზედ, შუა ჯგუფიდგან 4 აღაჯის მანძილზედ. საზოგადო რიცხვი ყველა სამი ურდოსი 75,000 შეადგენდა დაახლოვებით. იგინი ურთი-ერთს მოწყვეტილნი იყვნენ; ეს ცხადათა სჩანს მით, თუ სად და რა ადგილბ შორის დაეწყვნენ. ამას გარდა მარცხენა ფრთა, რომელიც ყველაზედ ძლიერი უნდა ყოფილიყო, შეიცავდა მხოლოდ ოცი-ათას ცხენოსანს და ყველაზე ძრიელ განცალკევებული და სხვებზე მოწყვეტილი იყო. იმისი დიდი მნიშნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ქართლში წასვლით ჩრდილოეთისაკენ, ან ჯავახეთში წასვლით პირ-და-პირ დასავლეთისაკენ, გაჰყოფდა დავითის სამეფოს და მის სამხედრო ძალას წაწილ-ნაწილად; პირველ შემთხვევაში მას შეეძლო დაეშალა აბხაზ-იმერეთის ჯარისათვის ქართლელ ჯართან შეერთება, ხოლო მეორე შემთხვევაში, ე.ი. თუ ჯავახეთისაკენ, ანუ შემდეგ სამცხესკენ გასწევდა, მოსწყვეტდა იმერეთს და ქართლს ჭოროხის და მტკვრის სათავის საერისთავოთაგან; მაგრამ არაფერი ამ გვარი არა მომხდარა რა. დავითმა კი მთელის თავის ჯარით, გარდა ჰერეთელთა და კახელთა, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ თავიანთი სამზღვარნი, დანიშნა შემოკრების ადგილად სურამი, ახალ-ციხე და ახალ-ქალაქი. მთების გადასავალნი, ხუთი-ექვსი ათასის სიმაღლისა, ზღვის დონიდამ თრიალეთესა და ჯავახეთის ქედზედ, იყვნენ დაცულნი ციხეებით, რომლებშიაც იდგა მეციხოვნეთა მძლავრი

ჯარი (гарнизоны); განსაკუთრებით ციხე-კლდეკარი მანგლისის პირ-და-პირ, საიდგანაც გზა თეძამის ხეობაზე მიდის შუა გულ ქართლში. დავითს არ დაუვიწყებია გაემაგრებინა მცხეთა-სამყოფი ადგილი კათალიკოზთა. მის ჯართა მოძრაობა და თავ-მოყრა ერთ ალაგას დაფარულ იყო ორი დიდი მთის ქედით, თრიალეთისა და ჯავახეთისა. 16 აგვისტოს დავითი დაიძრა ქუთაისიდამ თავის ჯარით, გადიარა ლიხის მთა და შუერთდა სურამში ქართლელების და ყივჩაყელთა ჯარს, რომელიც მას იქ მოელოდა. მეორე დღეს აცნობა რა მესხთა, რომ ქცია-ხრამის სათავისაკენ გამგზავრებულიყვნენ, თვითონაც თავის დანარჩენი ჯარებით გაეშურა იქითკენ გუჯარეთის ხეობით. რიცხვი მეომართა, რომელთაც დავითმა ხრამის სათავეზედ მოუყარა თავი სელჯუკთა მარცხენა ფრთის ურდოთა წინააღმდეგ, იყო 50 ათასამდე. ამ ჯარების ერთი ნაწილი მან ორ დღეში გაიარა 160 ვერსი. სელჯუკნი არამც თუ მოწყვეტილნი იყვნენ ურთიერთს, არამედ, სჩანს, თვალ-ყურსაც არ ადევნებდენ იმ გზებს, საიდანაც მოსალოდნელი იყო მტრის მიერ თავს დასხმა, ამიტომ რომ, დავითის ჩასვლა ხრამის სათავის ხეობაში და მათი გაფანტვა და განადგურება ერთი იყო. ამ დამარცხების მეოხებით, დავით ძალიან საშიშარი გახდა დიდ-გორსა და მანგლის დაბანაკებულის ურდოთათვისაც, მით უფრო რომ იგი ემუქრებოდა გადაეჭრა მათთვის გზა უკუ-ქცევისათვის. მაგრამ მოსლემინობა არც კი ფიქრობდა - წინააღმდეგობა გაეწია დავითისათვის; დასტოვეს მათ სუყველაფერი, რის წაღებაც არ შეეძლოთ, და გაეშურნენ უკან თავთავისას. რამდენსამე კვირის განმავლობაში დავითმა სრულიად მოსწმინდა არაქსის მარცხნივ მიდამო სელჯუკთაგან. მათზედ გამარჯვებული დავლა იყო ხოლმე ჩვეულებრივ: ძვირფასი თვალმარგალიტი, ფერად-ფერადი ქსოვილი ინდოეთისა, არაბული ცხენები, ასურეთის ჯორები, ყოველ-გვარი საჭურველი, ფილაკოვანნი და ტარონნი. ყოველივე ეს აუარებელი დარჩათ ქართველებს. თბილისი და დმანისი, რომელნიც აქნობამდე კიდევ ეჭირათ ურწმუნოთა, იძლებულნი იყვნენ გაეღოთ ბჭენი დიდებულის მეფისათვის.

ამ სახით მხოლოდ მოხერხებულის და მტკიცედ მოსაზრებულის თავდარიგის წყალობით მოიქმედა ამ გვარი შესანიშნავი საქმე დავითმა. ყოველთვის, როგორც ეხლაც, დიდება და სახელი მხედართ-მთავარისა, ის არის, რომ მოიფიქროს და მოისაზროს, რომელ ალაგს სუსტობს მტერი, რომელი ნაწილი მტრის ლაშქრისა უფრო ადვილად დასაძლევია, და შეიგნოს,

რომელ ნაწილს მტრის ჯარისას აქვს უმთავრესი მნიშვნელობა და მას ეკვეთოს მედგრად ყოველის თავის ღონით და ძალით, როგორც მაგალითად სელჯუკთა ლაშქარში მოიქმედა დავითმა მდ. ხრამის სათავაზედ სელჯუკთა მარცხენა წვერის ანუ ფრთის დასამარცხებლად. ომი 1122 წელს, ვგონებთ, იმის გარდა, რომ მხედართ-მთავრის ნიჭს ამტკიცებს, იმასაც მოწმობს, რომ გზები მაშინ საუკეთესონი ყოფილა, ჯარი მორჩილი და გამგონი, დიდს მანძლზედ ლაშქრობას და გადასვლ-გადმოსვლას ჩვეული. თუ ესე ყოველივე ლაშქარს არა სჭირს, შესაბამი რთული მოქმედებანი დიდის ჯარისათვის შეუძლებელია. დავითის ლაშქარს ყოველივე ეს ღირსება ჰქონია. ამაზედ პირ-და-პირი ცნობა დავითის ცხოვრების აღმწერს მოჰყავს, რომელიც, როგორც ბროსე საფუძვლიანად ფიქრობს, იყო თანამედროვე, ან იქმება მონაწილეობის მიმღებიც ამ მეფის მოღვაწეობაში.

მაგრამ უფრო მომეტებული სამხედრო ძლიერება საქართველომ თამარის დროს გამოიჩინა მე-XIII საუკუნის დასაწყისს. წეს-წყობილება, დავითის მიერ დამყარებული, დროს განმამავლობაში უფრო განმტკიცდა და მაგრად გაიდგა ფესვი ქართველების ყოფა-ცხოვრებაში და მის შვილის-შვილის თამარის დროს სრულიად დამკვიდრდა, ისე რომ იმ დროს საქართველო ხდება ერთ უძლიერეს სამეფოდ აზიის წინა-მხარისა. 1203 წ. თამარი გამოესარჩლა თავის ხელ-ქვეითს, შირვან-შაჰს[1], მისი სიძეც, მფლობელი ადერბეიჯანისა თვის მფარველობის ქვეშ მიიღო, და ამისგამო იძულებული შეიქმნა ებრძოლნა აბუ-ბეკირის წინააღმდეგ, რომელიც იყო მპყრობელი სრულიად დანარჩენი სპარსეთისა ინდოეთის საზღვრამდე. როგორც ხმა გავრცელდა, ამას განეზრახა შემოსევა საქართველოში.

მაისის გასულს, 1203 წ. თამარის მიერ შეკრებილი ჯარი დაბანაკდა მდ. ალგეთისა, ხრამისა და დებედის მიდამოთა შორის, ისე რომ მარცხენა წვერი ანუ ფრთა მტკვრისაკენა ჰქონდა, საცა მას ერთვის მდინარე ხრამი (ამ ალაგს ეხლა წითელი ხიდი ჰქვიან.) ამ ლაშქარში, ჩვეულებრივი ქართველი ჯარის გარდა, ერია ყივჩაყელთ სპანი, რომელნიც თამარს ჯამაგირით ეჭირა, აგრეთვე მეომარნი შირვან-შაჰისა და ამირ-მირანისა. თამარი თვით წავიდა თბილისიდამ ჯართ დასახედავათ და გასამხნევებლად. ვიდრე იგი ბანაკში იმყოფებოდა, და უცდიდა ნამდვილს ცნობას მტრის შესახებ, ყოველ-დღე აღლუმს[2] ხე-

1. შირვანი - ეხლანდელი ბაქოს გუბერნიაში მდებარეობდა.

2. აღლუმი - მოედანზედ გაწყობილი ჯარის დათვალიერებაა.

დავდა და ჯარი ხშირად სხვა-და-სხვა სამხედრო თამაშობით ერთობოდა: ბურთაობით, ასპარეზობით, ჯირითით და სხვ.

მალე მოვიდა ამბავიც, რომ აბუბეკირს შეუთხოვნია ხალიფასათვის მისცეს მას დროშა მაჰმადისა, რათა ამ ლაშქრობას მისთვისოს რელიგიური ხასიათი. ხალიფამ მართლაც აუსრულა მას თხოვნა და შეჰყარა ჯარი სამარყანიდგან და ინდოეთიდგან დაწყობილი შუა-მდინარეთამდე, რომელიც აბუბეკირის წინამძღოლობით ნახიჩევანის პირდაპირ გამოვიდა არაქს. თამარი ამ ამბის შეტყობისთანავე ლაშქრის გამრავლების ზრუნვას შეუდგა, რადგანაც იცოდა თავის ჯარის რაოდენობა. ამ აზრით მან უბრძანა მწიგნობართ-უხუცესს ანტონ ჭყონდიდელს დაეწერა ბრძანება, რომ ყოველი იარაღის ტარების შემძლებელი გამოგზავნილ ყოფილიყო ლაშქრობაში და, რომ ყოველს ეკლესიაში მუდამ დღე აღევლინათ ლოცვა ღვთისა წინაშე მისის ჯარის გამარჯვებისათვის. ეს ბრძანება და ამასთან ფული, გლახაკთა და დავრდომილთათვის შემწეობად ომის განმავლობის დროს, გაგზავნილ იყო იფრინდაებისა და შიკრიკების შემწეობით. ამ ბრძანების[1] მიღების შემდეგ ათის დღის განმავლობაში, ყველა მეომარნი შეიკრიბნენ დანიშნულს ალაგას, და თვით შორეულ საერისთაოებისაგანაც კი, როგორც მაგალითად აბხაზეთისა და კლარჯეთისანი არიან, მოგროვდნენ მხედარნი და შეურთდნენ თავ-თავიანთ სპას ხრამის და მტკვრის შესართავთან. ივნისის ნახევარს, სამხედრო თათბირის შემდეგ, თამარი დაბრუნდა თბილისს, ხოლო ლაშქარი დაჰყვა მტკვარს თამარის მეუღლის დავით სოსლანის და ამირ-სპასალარის ზაქარია მხარ-გრძელის წინამძღოლობით. მარტო ქართველი ჯარი შეადგენდა 90 ათასს კაცს. ამირ-მირანისა და შირვან-შაჰის ცხენოსანნი სპანი, რიცხვით რავდენსამე ათასს კაცამდე, წინ მიდოდნენ და გზას უჩვენებდნენ დანარჩენთ; მაგრამ ომში ამათი მინდობა არ შეიძლებოდა; როგორც მოსლემინები, იქნება მათ გაცხარებულ ომის დროს ეღალატნათ და გადასულიყვნენ აბუბექარის მხარეზე, რაკი შეიტყობდნენ, რომ მას მაჰმადის დროშა აქვს ამართული. ქართველი ლაშქარი აჩქარებული მიისწრაფოდა წინ. ორის დღის განმავლობაში მან გაიარა 161/2 აღაჯი. მარჯვნივ მთა ჰქონდა ჯარს, ხოლო მარცხნივ - მდ. მტკვარი.

1. ქართლის-ცხოვრება“ გვ. 305. „ესე უბრძანა და ბრძანება საქმე იქმნა. და ათსა დღესა შინა ვითარცა გროი შავარდენთა მოჰფრინდა, ვითარცა პირველ ვთქუ, ყოველი მხედრობა, ყოვლითურთ კერძო სიხარულითა და აღივსო სპითა თამარისათა მტკვრის პირი, ტფილისით ყარაღაჯამდე, ალგეთის პირი და ბერდუჯის პირი“.

მეორე დღეზე, საღამოს, დაბანაკდა მდ. ძეგამის ნაპირზედ. ამ მდინარიდამ შამქორამდე ვაკე ადგილი ძევს: სიგრძით 4 აღაჯი ექმნება და და სიგანით 2-3 აღაჯი. აქ დავით სოსლანმა აეშაგთა (ჯაშუშები) შემწეობით შეიტყო რომ მტერს განჯის იქითა მთები დაუგდია, თვით განჯის ციხეც მიუტოვებია და გამომგზაურებულა შამქორისკენ. აეშაგთა ამას დაურთეს კიდევ ის გარემოებაც, რომ აბუბექირის ჯარი მრავლისაგან უმრავლესიაო, დაახლოვებითაც ვერ დაითვლებაო, როგორც ვერ აღირიცხება ქვიშანი ზღვისა და ვარსკვლავნი ზეცისანიო. მაგრამ შამქორიდამ დაწყობილი მთლად განჯის იქით, და მთებიდამ მტკვრამდე ადგილი სულ მტერს უჭირავსო. სოსლანს თვითონაც შეეძლო შეემჩნია მტრის სიმრავლე. ძეგამის მარჯვენა ნაპირზედ ამართულ მთიდამ ცხადად სჩანდა მტვრის კორიანტელი, რომელიც განჯიდამ შამქორს უახლოვდებოდა. ამირ-მირანი ამას მიაწერდა იმ გარემოებას, რომ აბუბექირი დარწმუნებულია თავის ძაღაშიო; მაგრამ გავიდნენ თუ არა ვაკეზე, შამქორიდამ სამის ალაჯის სიშორეზე, ქართველნი მსწრაფლ დაეწყვნენ ჩვეულებრივ საომარ წესით. ნახევარ აღაჯზე მიუახლოვდენ თუ არა შამქორის კარსა და ხიდსა, პირველი ორი მეომარი მწკრივი გაემართა ქალაქისა და მის გარშემო მდებარე ბაღებისაკენ, მაშველა ჯარი მეფის მოთავეობით შეჩერდა უკან და თვალ-ყურს ადევნებდა ომის მსვლელობას. მტერს ძალიან გამაგრებული ადგილი ეჭირა, რომლის წინ იყო: ქალაქი ზღუდე, ბაღები და თავი ჯარი მტრისა ჯერ ისევ სიარულში იყო და ნაწილ-ნაწილ უახლოვდებოდა ბრძოლის ველს, სადაც იჭერდა ადგილს თავიანთის ლაშქრის მემარცხენედ, როგორც უფრო დაახლოვებულს. ქართველი სპანი ძალიან დაბრკოლდენ ქვიანი ადგილისა და ბაღებისაგამო, რომელთაც არიეს სპათა წყობა. ამის განო იგინი ვერ გადვიდენ შამქორის მარჯვენა ნაპირზედ და ცოტა არ იყო უკან დაიხიეს. მაშინ ამირ-სპასალარმა ზაქარიამ, რომელსაც გარშემო საუკეთესო მეომარნი ქართველთა სპათანი ერტყნენ, იშიშვლა ხმალი და ქართველნი მემარჯვენე ფრთისანი პირველ ორის მწკრივისანი ჩვეულებრივ ზახილით[1] ხელ-ახლავ მივიდნენ იერიშით. ამ მეორე დაჯახებამ დიდი ძალა იჩინა; ქართველნი გავიდნენ მდინარეს ქალაქის მარჯვნივ და გაშალეს თუ არა მარჯვენავე ფრთა ანუ წვერი, რომელსაც შეადგენდნენ ამირმირანისა და

1. „ქართლის-ცხოვრება“, გვ. 306: „აჰა ჩვენცა ხელნი ხრმალსა და სულნი ღმერთსა, და ნუ ვრიდებთ თავთა ჩვენთა“.

შირვან-შაჰის მხედარნი, განწირულებით აღსავსე ხელ-ჩართულით ეკვეთნენ მტერს. ამით მთელი თავისი ყურადღება ძალა-უნებურად მათ მხოლოდ ამ ადგილისთვის მიაპყრობინეს. დავით სოსლანმა შენიშნა თუ არა, რომ მისი ამირ-სპასალი მარჯვედ არის, დასძრა ჯარები, შემოუარა განჯას მარცხნივ იმავ ბაღების მოფარებით, რომელნიც წინად ქართველთ ჯარს უშლიდნენ გაშლას და პირის-პირ მტერზედ იერიშით მისვლას, გავიდა შამქროს, მოახვევინა თავის მარცხენა ფრთას და დაჰკრა უეცრივ მემარჯვენე ჯარს მტრისას. ამ გარემოებამ გადასწყვიტა ბრძოლის საქმე: მოსლენინნი შეირყნენ და ლტოლვილ იქმნენ. ყველაზედ წინ თვით აბებუკირი მიისწრაფოდა და უკან მისდევდა მდევარი ქართველთ ცხენოსანთა, და სდია, ვიდრე განჯის კარამდე 41/2 აღაჯის სიშორეზე. ხევნი და ხნარცვნი, რომელნიც შამქორს იქით მრავლად ხვდებოდათ მეოტთა და ლტოლვილთა, უფრო სრულიად ღუპავდნე მათ. ამის გამო ვერა მიჰქონდათ რა თან და ყოველივე ძალა-უნებურად უნდა დაეტოვებინათ გამარჯვებულთათვის: სარჩო, ქვეითი ხალხი, ალამი და თვით ხალიფას დროშა, რომელიც დაიპყრო ერთმა მაშინდელმა საუკეთესო სპასალართაგანმა, შალვა ახალციხელმა. ამ გვარად დატრიალდა ამ ბრძოლის საქმე. ქართველთ გამარჯვების მიზეზი იყო, მათ სპასალართა ვაჟკაცობის გარდა, რასაც მაშინდელ დროში არა მცირედი მნიშვნელობა ჰქონდა, უმთავრესად მაშველი ჯარის რიგიანი მომხრეობაცა. ამ გარემოების წყალობით არამც თუ გაასწორეს ქართველთ თვიანთი პირველი შეცდომა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ იმოდენა ჯარი 60 ათას კაცამდე შეიჭყლიტა ვიწრო სივრცეში 1-11/2 აღაჯის სიგანისაში, სადაც მრავალი ცხენოსანი და ქვეითი კი არ ომობდნენ რიგიანად, უშლიდენ ერთმანეთს, არამედ კიდეც გაიმარჯვეს ასე შესანიშნავად.

ეს ბრძოლა, 1204 წ., შამქორის ომის სახელ-წოდებით ცნობილი, სავსე იყო მნიშვნელობით და სასახელოდ მისაჩნევი ქართველთა მიერ. ჯერ არც ერთხელ, ისლამის დაარსებიდან დაწყობილი, მუსულმანთ ასეთი დამარცხება არა სწვევიათ ქრისტეანეთაგან. ხალიფას დროშა, რომელიც თამარმა ხახულისა ღვთის-მშობლის ხატს გელათის მონასტრისას შესწირა, პირველად დაკარგეს მათ შამქორის ომში. ნურას ვიტყვით იმაზედ, რომ ამ გამარჯვებამ კარგა დიდ-ხანს, მონგოლთ საასპარეზოდ გამოსვლამდე, გააჩუმა აღმოსავლეთის კერძო ხალიფატისა; ამ გამარჯვებას შემდეგ ბევრჯელ მოიგონებდენ ხოლმე

ქებით და დიდებითა. ამ ომზე მიუთითებდა იოანე მრისხანე, როდესაც ყაზანის ომის დროს მოაგონა თავის მეომართ გასამხნევებლად ივერიის მეფის ასულის გამარჯვების ამბავი სპარსელებზედ[1]. ხოლო მაშინდელ თანამედროე მოსლემინობაზე რა გვარი ზედ-მოქმედება იქონია შამქორის ბრძოლამ, მარტო იმ გარემოებიდამ სჩანს, რომ შემდეგ წელს თამარი იძულებული იყო ბაღდადის ხალიფატის მეორე ნახევართან ებრძოლნა - ე.ი. ასურეთის და პელესტინის სულტანთა წინააღმდეგ.

1204 წ. აღმხედრდენ და აღიჭურვნენ მათ შორის ძლიერთ უძლიერესის სულტანის ალეპოელი ნუქრადინის წინამძღოლობით. ამ უკანასკნელმა გაუგზავნა თამარს ელჩი და წერილი, რომელშიაც მოიხსენიებდა იმ მიზეზებს, რა მიზეზებისა ფამოც იგი საჭიროდ სთვლიდა საქართველოს წინააღმდეგ გამოელაშაქრნა. ნუქარდინის წერილი მოყვანილია საქართველოს მატიანეში, და ვგონებთ სიტყვა-სიტყვითაც, რადგან ისე დაწვრილებით და ნიშანდობლივ არის მოთხრობილი ამბავი იმის მიღების მეფის მიერ, აჭწერილი შთაბეჭდილება, რომელიც მან მოახდინა თამარზე და აღშფოთება ამირ-სპასალარის ზაქარიასი და სხვათა ერისთავთა და სპასალართა, რომელნიც თხოულობდენ ელჩის დასჯას, მისის უმართებულო და ამაყ სიტყვა-პასუხისა და წერილი შინაარსისა გამო. ეს წერილი მეტად ახირებული წერილია და მისი შინაარსი ცხადად ამტკიცებს, რა გვარად იყვნენ თავგასულნი და გაამაყებულნი მაშინდელი სელჯუკელი სულტნები, რომელნიც მთელს ქვეყანას თავის საკუთრებად სთვლიდნენ.

„მე ნუქარდინ, სულტანი ყოვლისა ცასა-ქვეშისა, უმაღლესი, მიმსგავსებული ანგელოზთასა, თანამდგომი ღვთისა, მოვლინებული დიდისა მოჰმედისაგან, მოგიმცნობ მეფესა ქართუჭლთასა თამარს. ყოველი დიაცი რეგვენია: შენ გიბრძანებია ქართუჭლთა აღებად ჴრმლისა, და ღუთისაგან საყვარელისა ისლემთა ერისა დაჴოცად მუსულმანთა, და კვალად ნათესავსა ზედა თავის-უფალსა დადებად ხარკი ყმებური: აწ მე მოვალ, რათა უსაჯო სამართალი ხალხსა სპარსთასა და განგწვართო შენ და ერიცა შენი, არაოდეს აღებად ჴრმლისა, რომელი ღმერთსა ჩვენდა უბოძებია: ხოლო ცხოვრებით იგი ოდენ ვაცხოვნო, რომელმან უწინარეს მოსვლისა ჩემისა თაყუანის-მცეს წინაშე კარგვისა ჩემისა, და აღიაროს ქადაგება მოჰმად მოციქულისა, და უარჰყოს სჯული შენი და ჴელითა თვისითა იწყოს წინაშე

1. Brosset. Hist de le georg. I par. 445 p.

ჩემისა ლეწად ჯუარისა, რომლისა მიმართ დაგიცსთ ცუდი სასოება: აწ მოელოდი ნაცვალსა ჩემსა, რომელი შეამთხვიე სპარსთა.“

წერილის მიღებისთანავე თამარი მხნედ შეუდგა ყოველ გვარ თადარიგს ომისას და ლაშქრობისას გოროზ და თავგასულ ნუქარდინის წინააღმდეგ: გასცა ბრძანება და გაგზავნილ იქმნენ შიკრიკნი და მალე-მსრბოლნი ყოველ კუთხეში მისის სამეფოისა, ნიკოფსიიდამ დარუბანდამდე, რათა ერისთავთ მალიად შეეიარაღებინა მთლად ერი და ქვეყანა. თავ-მოსაყრელ ადგილად მან დანიშნა სამცხე და ჯავახეთი და თავისთან მყოფთ ჯარებით გასწია იქ. თან მისდევდა უმაღლესი სამღვდელოება და საუკეთესო სპასალარნი - ზაქარია და იოანე მხარგრძელნი, შალვა და ივანე ახალციხელნი. მეფე დავით სოსლანს უნდა ეტვირთნა მთავარი წინამძღოლობა ასი ათასის მეომართაგან შემდგარის და თამარის მიერ გაშლილ დროშს ქვეშ შეკრებილის ლაშქარისა. ვიდრე ლაშკარი შეკრბებოდა, თამარი იმყოფებოდა ვარძიის მონასტერში[1], ხოლო ნუქარდინი უდიდესის ლაშქარით, რომელიც შეიცავდა ნახევარ მილიონს მეომარს, მოადგა არზრუმს ანუ კარნუ-ქალაქს. ნუკრედინისა და თამარის შორის ბრძოლის ველის მდებარეობა დიად ცნობილია უკანასკნელ რუსთ-ოსმალოთ ომისგამო და ამისათვის მისი აღწერა საჭირო არ არის. რაც შეეხება თამარის ჯარს, რომელიც შეიკრიბა თავისუფლად ახალციხის, ახალქალაქის და არტანისის ციხეებითა დაცული, იგი გაემართა ყარსისაკენ. ამ ქალაქიდამ ოც-და-ათ ვერსზედ თამარი შედგა ერთს მაღალს გორაზედ, რათა ერთხელ კიდევ ელოცნა და ჯვარი გადაეწერა მის წინ გამომვლელ რაზმთათვის, რომელთ წინამძღოლნი, მასთან დაპირდაპირებისათანავე, ჩამოხდებოდენ ცხენიდამ ჯვარის სამთხვევლად და მარჯვენისა მისისა საამბორებლად. ამის შემდეგ თამარი დაბრუნდა ოძრახეს[2] და ჯარმა განაგრძო გზა. ნუქარდინს ფიქრათაც არ მოსდიოდა, რომ ქართველნი გაჰბედავდენ დაეტოვებინათ თავიანთი მთანი და ხეობანი და გავიდოდნენ იმის პირის-პირ ასე დაახლოვებით არზრუმს და ყარსს შორის; ამისათვის კი არხეინად იყო დაბანაკებული დიდ და ვრცელ ბასიანის მთა ვაკეზე, არზრუმიდამ 7 აღაჯის სიშორით და სრულიად არავითარი თადარიგი არ ჰქონდა დაჭერი-

1. მტკვრის მარცხენა ნაპირზედ მდებარეობს ხერთვისის ხეობაში რომელიც მტკვრის აყოლებით არდაგანმდის ასდევს.

2. ახალი აბასთუმნის ახლოს.

ლი უეცარის თავს-დასხმის წინააღმდეგ. როცა ქართველთ წინად-მბრძოლნი იმის ბანაკის სიახლოვეს გამოჩნდენ ზაქარია მხარგრძელის, შალვა და ივანე ახალციხელთ წინამძღვრობით, ადვილათ წარმოიდგენს ყოველი, რა არევ-და-რევა მოხდა მუსულმანთა შორის. უეცარი თავდასხმა საშიშარია არამც თუ დაუწყობელ ურდოთათვის, არამედ სრულიად განწყობილის და ჩვეულებრივის ჯარისათვისაც, რომელსაც ომის დროს დაუბანაკნია, დარაჯნი თავის საქმეს კარგად ასრულებენ, წინადვე მოსაზრებული სიმაგრე უჭირავს, მხედართ ცხენები მზადა ჰყავთ, ერთის სიტყვით, ყოველ გვარი წესი სამხედრო დადგენილობისა დაცულია უეცარის თავს დასხმის შესასუსტებლად, მსწრაფლად ბრძოლისათვის გასამზადებლად. მაშ, თუ მართებულია და სრულიად გამართულის ჯარისათვის საშიშოდ ითვლება უეცარი თავ-დასხმა მტრისა, ნუქარდინის დაუწყობელის და არეულ-დარეულის ბრბოსთვის ქართველთა წინად-მებრძოლ 30-40 ათასის კაცისგან შემდგარ რაზმთა თავზედ წადგომა უნდა დამღუპველი ყოფილიყო. მართლაც, დაინახეს თუ არა ზაქარია მხარგრძელმა, შალვა და ივანე ახალციხელთ ათი და ათი ათასი გაშვებულის ცხენების ჯოგი, უაზროდ აქეთ-იქით მოყიალე ხალხის გროვანი, აყირავებული კარვები და საზოგადოთ ყოველ გვარი ნიშნები უწესოებისა მოსლემინთ ურდოში, მაშინათვე შეატყობინეს თავ-ჯარსა; ხოლო თვით მალიად გაშალეს რაზმნი, დაეწყვნენ საომარს მწკრივად, ააჩქარებინეს ფეხი მეომართ და გადაეშვნენ წინ, შიგ მტრის შუა-გულ, ნუქარდინის სამყოფ-კარავისკენ, რომელზედაც ფრიალობდა დიდი სულტანის დროშა. ამასობაში, დაინახა თუ არა ნუქარდინმა წინ გაშლილი საომარ მწკრივად ქართველთ რაზმები, მაშინათვე დაიწყო ხელ-და ხელ წყობა და საომრად დგენა სხვაზედ უფრო მომზადებულ მეომართა, ბასიანის მთაგორის აღმოსავლეთის კალთებზე, რადგან თვითონ დიახ გულადი და მოსწრებული გონების პატრონი იყო. ქართველთ მთელი თავისი ძალა და ღონე დაატანეს ამ ადგილს, რომ სხვა უსეწო მუსულმანთ ხროვათ არ შესძლებიყოთ მომზადება და მოწინააღმდეგე რაზმების მიშველება. შენივთთდა გაცხარებული ურთიერთ დაუზოგველი ხელ-ჩართული ბრძოლა; ყველა ქართველთ მხედართ უფროსთ ცხენები მოკლულ იქმნენ; მაშინ მხედართაც დაანებეს ცხენებს თავი და დაქვეითებულებმა დაიწყეს ბრძოლა თავიანთ უფროსებთან ერთად. ნუქრედინმა, თუმცა თავ განწირული მამაცობაგამოიჩინა და თუმცა მრავა-

ლი ჯარი ჰყავდა, ვერ შეარყია ქართველთ წინა-მბრძოლ, მიმსვლელ-მცემელთ რაზმი, რომლის მამაცობას და მედგრობას უფრო ის იმედი აძლიერებდა, რომ ჩქარა მოეშველებოდა თავი და თავი ჯარი. დავით სოსლანმა შეტყობისათანავე წინად-მებრძოლთ რაზმისაგან ბრძოლის ვითარებისა, ააჩქარა თავი და თავი ჯარი. ქვეითმა ჯარმა სიარულს მოუმატა, ცხენოსანთ მოჰქუსლეს ცხენები, მაგრამ ოღრო-ჩოღრო ადგილი აბრკოლებდა მათ. ბოლოს, როცა ჩავიდნენ ბასიანის მდინარის მთა ვაკეზე, დაუყოვნებლივ დაეწყვნენ ჩვეულებრივ საომარ წესით. ე.ი. მემარჯვენედ დადგა-აბხაზ-იმერეთის ჯარი, ხოლო მემარცხენედ - ჯარი ქართლ-კახეთისა. აღარ მოუცადეს უკან ჩამორჩენილთ და გაეშურნენ წინად-მებრძოლ-მიმსვლელ-მცემელთ გამოსახსნელად; შემდეგ გამწარებულის ჩხუბისა, მაჰმადიანთ ვეღარ გაუძლეს ქართველთა მიერ შეერთებულისა ძალით მიტანილს იერიშს და არეულ-დარეულად ლტოლვილ იქმნენ არზრუმისკენ. - ვინც ვერ მოასწრო ცხენზედ შეხტომა. ტყვედ შეიპყრეს. თვით ნუქრედინი კინაღამ ტყვედ არ დაიჭირეს და გადარჩა მხოლოდ თავის არაბულის ტაიჭის წყალობით. მაგრამ მისი დროშა, ქონება და ურიცხვნი ტყვენი, რომელთა შორის რამდენიმე სელჯუკთა თავადი ერია, ყოველივე ესე დარჩათ გამარჯვებულთ.

ამ ომს ქართველებმა უწოდეს ბოლოსტიკის ომი, უთუოდ რომელსამე ბასიანის სიახლოვეს მდებარე სოფლის სახელწოდების გამო. თუმცა გამარჯვება ქართველთ დარჩათ შემთხვევის წყალობით, ე.ი. იმ გარემოების მეოხებით, რომ ქართველნი მტერს ანაზდად თავს დაესხნენ, მაინც წინად-მებრძოლთ უფროსთ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი ქცევა და მიხვედრილობა გარემოებათა შესაფერ, სწორედ შესანისნავი იყო. ცოტა რომ დაეგვიანათ, ან ეყოყმანათ, მანამ თავი და თავი ჯარი მოესწრებოდათ, უეჭველია რომ ნუქრედდინი დააწყობდა ჯარს მართებულის წესით და მაშინ ომი შეიძლებოდა ქართველთ სასარგებლოდ არ გათავებულიყო.

შამქორის ომით 1203 წ. და ბოლოსტიკის ბრძოლით 1204 წ. თამარმა დიდის-ხნით დააწყნარა აზიის წინა-მხარის მაჰმადიანნი, როგორც ამას წინად ჩვენ მოვიხსენეთ. ამ ბრძოლათა შემდეგ სპარსელნი და თურქნი-სელჯუკნი მხოლოდ ქურდულის თავდასხმით აწუხებდნენ ქართველებს. ასურელთ სულტანს, ბოლოსტიკის ომის შემდეგ, აღარა ჰქონდა ღონე დაეშალნა თამარისათვის ყარსის აღება და ტრაპიზონის იმპერიის შედ-

გენა პავფლაგონიის და პონტის ქალაქებისაგან: სახელად, ტრაპიზონისა, სინოპისა და ლიმონისაგანა, და სხვ. ეს იმპერია თამარმა მისცა თავის ნათესავს, ალექსის, რომელიც მის სასახლეში იმყოფებოდა და იყო შვილის-შვილი ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკ I. ამ ისტორიულ ფაქტებს მოწმობენ გარდა საქართველოს მემატიანეთა მრავალნი თანამედროვე და შემდეგნი მწერალნი საბერძნეთისა და სხვათა ხალხთა.[1]

ასე წარიმართებოდნენ საქმენი საქართველოსანი ვიდრე სიკვდილამდე ამ დიდებულის დედოფლისა (1212 წ.) და, არამც თუ მის დროს, მის შვილთა პირველ მეფობის დროსაც: გიორგი ლაშასი და რუსუდანისა, იმ დრომდე, ვიდრე საქართველოს არ მოევლინა საქყვენო რისხვა - ესე იგი, მონგოლთ შემოსევა.

თ. თათარ ყან დადიშკელიანი.

1. Brosset. Hist. de la Georg. 461 p.

შენიშვნა შესახებ სიტყვსა - „დასტაგისა“*

„ქართლის მოქცევაში“[1] ვკითხულობთ: „ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოლა[2] ათ-ერთმეტ თთუჰ, და დადგა სარკინესა დასავლით კერძო, და დასცა ვენახი, და რუჲ გამოიღო ქსნით, და დასხნა კაცი მერუვენი დასტაგარითა რუჲსაჲთა, და ჰრქჳან ადგილსა მას.

იხ.: „ძველი საქართველო - საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ტ. II. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი 1913 გვ. 139-144.

*) რედაქციისაგან: აწ განსვენებულმა ცნობილმა მამულიშვილმა თავადმა თათარხან დადიშკელიანმან საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს გამოუგზავნა პატარა ხის ნივთი, მოგრძო და ოთხ კუთხედი; ორ გვერდზე ლამაზი ჩუქურთმა აქვს ბაწრის მსგავსი და ორ გვერდზე ჩაღრმავებულია, თავში ოთხი პატარა სვეტი უზის, ბოლო პრტყელი აქვს ჯვარედინის ხაზებით (ნახატვი ამ ნივთისა ნამდვილის ნახევარი ზომით და აგრეთვე ნახატვები თავისა და ბოლოსი სრულის ზომით იხილე ქვემოთ). თათარხანმა წერილით გვაცნობა, ამ ნივთს ქვემო სვანეთში დასტაგი ჰქვიაო და ქალები დღესაც ხმარობენ პურის დასაბეჭდავათო. შემდეგ მივიღეთ ეს პატარა შენიშვნა სიტყვა დასტაგის მნიშვნელობის შესახებ „ქართლის მოქცევაში“. ვბეჭდავთ ამ შენიშვნას, რომ ამით საშუალება მივსცეთ მსურველთ, შეამოწმონ, მართლა იხმარება ქვემო სვანეთში და შორაპნის მაზრაში სიტყვა დასტაგი და თუ იხმარება, რა მნიშვნელობით. ჩვენ კი ჩვენდა თავად არ ვეთანხმებით განსვენებულს ავტორს ამ ფრაზების განმარტებაში ქართლის მოქცევისა და ქართლის ცხოვრებისა, სადაც ვითომც სიტყვა დასტაგი იყოს ხმარებული და სადაც გვხვდება სიტყვა ნასტაგისი: ავტორს არ მიუქცევია ყურადღება, რომ ნაჩვენებ ფრაზაში დასტაგი ერთი სიტყვა არ არის, არამედ ორი: და სტაგი. და მთელი ფრაზა, როგორც სამართლიანათ განმარტა ნ. მარრმა, უნდა წავიკითხოთ ასე: და სტაგითა რუჲსაჲთა დაჰ(ა)რქვიან ადგილსა მას ნასტაგისი. ადგილისათვის ნასტაგისი დაურქმევიათ იმის გამო, რომ იქ წინეთ სტაგი ყოფილა,

1. ექვთ. თაყაიშვილი - სამი ისტორ. ქრონიკა, ქართლ. მოქცევის მე-3 გვერდი.

2. აქ საუბარი არის ალექსანდრე მაკედონელზე.

რომ დასტაგი ერთი სიტყვა ყოფილიყოს, ადგილს ქართულის გრამატიკის კანონით უნდა დარქმეოდა ნადასტაგისი და არა ნასტაგისი. ამას გარდა საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონში ცნობილია სიტყვა სტაგი და არა დასტაგი. სტაგი საბას განმატებით ნიშნავს რუს სათავეს. ნ. მარრი არ ეთანხმება საბას ამ სიტყვის განმარტებაში და გვამცნევს, რომ ეს სიტყვა წარმოსდგება ნასტაგისი. - და მერმე გამოიღო სარკინე: თჳთ დაყარეს და მეოტ იქმნნეს".

„ქართლის ცხოვრება"[1] ამაზედ ამბობს, რომ სარკინეს ციხე-ქალაქს მტერმა მჭიდროდ ალყა შემოარტყა, და „ვერა-საადით განერა ერთიცა კაცი" და ამით „სარკინელთა შესჭირდა... იწყეს ფარულად კლდესა კაფა, და განხვრიტეს კლდე იგი, რომელი რბილ იყო და ადვილად სახვრეტელი, და გაკრბეს ხვრელსა მას სარკინელნი ღამე და შეივლტოდეს კავკასიად, დაუტევეს ცალიერადი ქალაქი".

აქ ზემოდ აღნიშნული გაუგებარი სიტყვის - დასტაგის ასახსნელად პატივცემულმა პროფესორმა მარრმა სტატია4) დაწერა, რომლითაც გვარწმუნებს, რომ სიტყვების: დასტაგის და ნასტაგისის ძირი - სტაგი - არისო სპარსული სიტყვა „სტაკ", რომელიც ნიშნავსო: ბაბილოს, ახალ შტოს და, საკუთრად, ვაზს, ვენახსო და ამიტომ „ქართლ. მოქცევის" ტექსტის სიტყვებს - დასტაგს რუისა სთარგმნის რუსულად виноградникъ, орошаемый каналами, ე. ი. ვენახი, მორწყული რუებითა*).

სპარსული სიტყვიდან სტაკ (ქართლის ცხოვრებაში ადგილის სახელი ნასტაკისი-ა და ეს ფორმა უფრო ძველ და ნამდვილ ფორმათ მიაჩნია მარრს, ასე რომ ძველათ ჩვენამდის მოღწეულ ქართლის მოქცევის სტაგი-ს მაგიერ მარრის აზრით უნდა ყოფილიყო სიტყვა სტაკი), რომელიც ნიშნავს ახალ ნერგს, შტოს და კერძოთ ვენახს, ვაზს. შეიძლება სვანეთში და იმერეთში იხმარებოდას სიტყვა დასტაგი თავისი მნიშვნელობით, მაგრამ ქართლის მოქცევაში კი სიტყვა სტაგი-ა ნახმარი. ე. თ. დასამტკიცებლად თავის აზრის პატივცემული მეცნიერი ადვილად გასაგებს ქართულს სიტყვებსაც თავისებურად კითხულობს და სთარგმნის: დასცა ვენახი ნიშნავსო: დანერგა, აღაშენა ვენახიო; და რუ გამოიღო ქსნით - ქსნით გამოიყვანა სარწყავი წყალიო.

ერთის სიტყვით, თუ პროფესორი მარრის სიტყვების ახსნას

1. Отдельн. Оттискъ изъ Запис. Восточ. Отдел. И. Р. А. Обшества; т. IX, стр. 192-195.

მივიღებთ, მაშინ „ქართლის-მოქცევის“ მოთხრობა შესახებ ბრძოლისა, რომელიც მომხდარა სარკინეს ციხე-ქალაქთან ამნაირად უნდა გავიგოთ: „სარკინესა ქალაქსა მტერი ებრძოდა თერთმეტი თვე; თვითონ მტერი დაებანაკა სარკინეს დასავლეთით, და დანერგა ყურძნის ვაზები, და გამოიყვანა ქსნით სარწყავი წყალი, და დააყენა კაცნი მცველნი („კაცნი მერუვენი“) ვენახთა რუისა, და მას ადგილსა (შემდეგში) დაერქვა ნასტაგისი. მერმე სარკინელთა თვით დატოვეს თავისი ციხე-ქალაქი და გაიქცნენ, და ცარიელი ქალაქი დაირჩინა მტერმა“.

ჩვენ ასეთი ახსნის თანახმა არა ვართ შემდეგის მოსაზრების და საბუთების გამო: ფიგლატ-ფალასარის (1120-1080 წ. ქ. წინ) დიდი ომების დროიდან უკანასკნელი პორტ-არტურთან ბრძოლამდის სამხედრო ისტორიამ არ იცის იმისთანა შემთხვევა, რომ ვენახის აშენებით და სარწყავი წყლის გამოყვანით ალყა-შემორტყმულნი მეციხოვნები იძულებული ყოფილიყვნენ თავისი ნებით თავისი ციხე-სიმაგრეები მიეტოვათ. წინააღმდეგ ამისა, იგივე ისტორია მოწმობს, რომ მომხდომი მტერი (наступающій непріятель) ყოველთვის სცდილობს დამხობას, აოხრებას და დაპყრობას იმ საგნებისა, რომლებითაც სარგებლობს დამხდური მტერი (обороняющійся непріятель). აბა რა ადგილი აქვს ბრძოლის დროს, და კიდევ მარტო 11 თვის განმავალობაში, ვენახის აღშენებას და სარწყავ წყლების გაყვანას?

გარდა ამისა სიტყვა დასცა არ ნიშნავს გაკეთებას, აღშენებას რამესას. სიტყვას - დასცა - მაშინ იტყვიან, როცა ვინმემ რამე ქვე წააქცია, დაამხო, ანუ ააოხრა.

ჩვენ არ ვეთანხმებით აგრეთვე ბ-ნ მარრს სიტყვების ახსნაში: რუჲ გამოიღო ქსნით. ზმნა - გამოიღო - რა აზრით არის ნათქვამი? ჩვენს ტექსტში გამოიღო ნათქვამია რუისათვისაც და მთელი ციხე-ქალაქისათვისაც („და მერე გამოიღო სარკინე“). აქედგან სჩანს, რომ - რუჲ გამოიღო - სრულად არ ნიშნავს, რომ სარწყავი წყალი გამოიყვანა. ტექსტის აზრით, რომელიც სრულიად მარტივია და რომლისაც აღსნას ჩვენ ქვემორე ვეცდებით, ზმნა „გამოიღო“, ამ შემთხვევაში, ნახმარია სიტყვების მაგიერად: დაიპყრო, დაიკავა (овладеть, занять). მხოლოდ ამ აზრით „გამოიღო“ ითქმება რუზედაც და ციხეზედაც.

რომ დასტაგი არ ნიშნავს ვენახს, ეს ცხადია შემდეგი სიტყვებიდა: „დასხნა კაცნი მერუვენი დასტაგითა რუისათა“. თუ დასტაგი ვენახათ ვიგულისხმეთ მარრსავით, მაშინ გამოდის,

რომ დააყენეს კაცები მცველნი ვენახით რუისა. ამისთანა უაზრო ფრაზას, რომელი ქართული ენის მცოდნე დასწერდა და უმეტესად შატბერდის კრებულის გადამწერნი მე-X საუკუნეში?

სიტყვების: დასტაგითა რუისათა, გრამატიკული კავშირი პირდაპირ გვიჩვენებს, რომ დასტაგი ეწოდება რამე სანიშანოს, კუთვნილებას რუებისა და არა ვენახს. ენგურის ხეობის სვანეთის დასავლეთის სოფლებში ახლაც ხმარობენ სტაგიდან ქმნილ სიტყვებს: და-სტაგ=დასტაგი, ლა-სტაგ-ი=სა-სტაგ-ისი, ლი-სტა-გი=და-სტაგ-ვა, ნა-სტაგ-ვ=ნა-სტაგევი და სხვა.

სვანური და ქართული ენების პრეფიკსებით და სუფიკსებით დაწერილი სიტყვებიდან სჩანს, რომ სტაგი რამე საგნის სანიშნოს - კუთვნილებას შეადგენს; მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყოველ საგანს თავისებური დასტაგი აქვს. ერთი ამნაირი დასტაგი1) ამ 1909 წ. სეკტემბერში მე ვაახელ ჩვენ საზოგადოებას.

რუის დასტაგი რა უნდაყო ფილიყო? - თავდაპირველად - რუისთავში გაკეთებული წყლის გადასაშობ-გადმოსაშობი (шлюзъ). რომ „ქართლის მოქცევა“ ამნაირ დასტაგს ახსენებს, ამის უეჭველად დამამტკიცებელი ის არის, რომ შორაპნის მაზრაში და სხვა იმერეთის კუთხეებში, სადაც ჯერ არ არის დავიწყებული ძველი სახელწოდება, წისქვილის წყლის გადასაშობ-გადმოსაშობ ფიცარს, ანუ გათლილ ქვას უწოდებენ დასტაგს.

აქეთგან „ქართლის მოქცევის“ და „ქართ. ცხოვრების“ მოთხრობა ერთის მეორეზე ზედ დამატებით ადვილი გასაგებია, რადგანაც სარკინეზედ დამცემი მტრის სამხედრო მოქმედება დალაგებით აწერილია, ასე რომ მარტო აზრით შესაძლოა მივხვდეთ გაუგებარი ჩვენთვის სიტყვების მნიშვნელობა. ძველად და ახლაც უმთავრესი ციხე-სიმაგრეების გარდა, მათთან მოშორებით, მათ გარემოში, რამოდენიმე მწკრივად, მოაწყობენ ხოლმე სადარნოებს (укрепленія). ამ სადარნოებს უნდა შემოეკავათ თავდაპირველად სახმარი წყაროები, თუ იგინი ციხე-ქალაქის გარეშე მომდინარეობდენ, ბოსტნები, ვენახები, სადაც იყვნენ, და სახნავ-სათიბები, თუ რომ ციხე-ქალაქის გუშაგი (горнизонъ) მრავალი იყო. ამნაირად მოწყობილი ყოფილა სარკინეს ციხე-ქალაქის არე-მარეც. როცა სარკინე ქალაქი სხვა ქალაქებსავით უომრად არ დაემორჩილა, მოერიშე მტერი მთავარი სარდლით მის დასავლით დაბანაკდა[1], სხვა ჯარები გარეშე სადარნოებს მოახვია („გარემოადგინნა“), ააოხრა ვე-

1. უთუოდ ამ ადგილს მაშინ უფრო საბრძოლველი მნიშვნელობა ჰქონდა. ყოველთვის მთავარი ჯარი სარდლით ამისთანა ადგილებზედ ბანაკდებიან.

ნახი სარკინელებისა, დაიპყრა („გამოიღო“) ქსნით რუი, რომლითაც სარგებლობდენ სარკინელები, და ამ რუის დასტაგთან (у шлюза), ადგილზედ, რომელსაც შემდეგში დაერქვა ნასტაგისი, დააყენა ყარაულები („დასხნა კაცნი მერუვენი“), და თანდათან, თერთმეტი თვის განმავლობაში, ალყა (блокада), მტერმა ისე გააძლიერა, რომ „ვერა-სადით განერა ერთიცა კაცი“ და ამნაირი სამხედრო მოქმედებით შევიწროებულნი სარკინელები იძულებულნი გახდნენ, რომ თვითონ დაეტოვებიათ თავისი ციხე-სიმაგრე („თვით დაყარეს და მეოტ იქმნნეს“), და ამის შემდეგ მტერმა დაიპყრო („გამოიღო“) უკაცური სარკინე („დაუტევეს ცალიერადი ქალაქი“).

ჩვენის აზრით, ამნაირია სარკინეს ქალაქთან ბრძოლის შესახებ მოთხრობა მემატიანებისა.

თათარხან დადიშკელიანი